



შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

იურისდიქციის ფარგლები ევროპული სამართლის მიხედვით

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი:

შოთა ფაჩულია

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი

ნინო ბოჭორიშვილი

თბილისი

2020

შინაარსი

ანოტაცია	3
Annotation.....	4
შესავალი	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
1.1. ეროვნული და საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვა	9
თავი II. ევროპული საერთაშორისო ხელშეკრულებების თეორიული ასპექტები	14
2.1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მოქმედება 1-ლი მუხლის შესაბამისად	14
2.2. „ყველას“ მიმართ კონვენციის 1-ლ მუხლში გამოყენებული ტერმინი	20
თავი III. იურისდიქციის ფარგლები (Ratione Loci)	33
3.1. იურისდიქციის ფარგლები - პრეცედენტული გადაწყვეტილების მაგალითები.....	33
3.2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის მნიშვნელობა.....	42
3.3. ევროპული კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის სამართლებრივი უსწორობანი	43
თავი IV. კვლევის შედეგები	46
დასკვნა.....	48
გამოყენებული ლიტერატურა	50

ანოტაცია

სამართლის მეცნიერებსა თუ პრაქტიკოს იურისტებს შორის ჯერ კიდევ არ არის ერთიანი პოზიცია სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის თანაარსებობის ავკარგიანობის შესახებ. ტრანსნაციონალური მიდგომების ფონზე, იურისპრუდენცია მკვეთრად გასცდა შიდაეროვნულ საზღვრებს. სამართლის კონტინენტურ და ანგლოამერიკულ სისტემას შორის არსებული განსხვავებაც ნელ-ნელა ქრება. ანგლოამერიკული სამართალი უკვე აღარ არის წმინდა პრეცედენტული სამართლის სისტემა. თავის მხრივ, კონტინენტური ევროპის მოსამართლეები ხშირად იყენებენ პრეიუდიციებს. დღეს, სამართლებრივ სისტემათა „კოჰაბიტაცია“ არ არის უცხო მოვლენა. ხშირია სამართლებრივი პლურალიზმიც, როცა ერთი იურისდიქციის ფარგლებში თავს იყრის სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ერთობლიობა. თითოეული ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ წიაღსვლებს, პოლიტიკურ თუ სოციალურ ფაქტორებს, ზოგჯერ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი სამართლის განვითარებაზე. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. მისთვის სამართლის ჰარმონიზაცია არასდროს ყოფილა უჩვეულო მოვლენა. განვითარების ცალკეულ ეტაპზე სხვადასხვა სამართლებრივმა დინებამ საბოლოოდ დიდი გავლენა იქონია თანამედროვე ქართულ სამართალზეც. ჩვენს თანადროულობაში, ქართული სამართალწარმოება ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა სახელმწიფოს მიერ არჩეულმა დასავლურმა ორბიტამ, რადგან ამჯერად მისი მოდერნიზაციის დღის წესრიგს საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობა და ევროპის სამართლებრივ სტანდარტებთან დაახლოება განაპირობებს. „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“. კონვენციაც სწორედ „მიზნად ისახავს დაიცვას არა თეორიული ან ილუზორული უფლებები, არამედ კონკრეტული და ეფექტიანი“.

Annotation

Scientists of law and practical lawyers have not yet developed the unified opinion about ups and downs of various legal systems co-existence. Against background of transnational approaches, jurisprudence evidently surpassed inner national frontiers. The difference existing between continental and English-American system of jurisprudence has been gradually vanishing. The English-American system of jurisprudence is not a pure precedent law system any more. On the other hand, judges of the continental Europe apply prejudices often. At present “cohabitation” of the legal systems is common. Legal pluralism is also frequent when various legal systems are aggregated within limits of a single jurisprudence. Historical and cultural origins of any country, political and social factors are sometimes of decisive importance for development of law. In this aspect Georgia is not exception, too. Harmonization of law has never been unusual for Georgia. Various legal flows on some or another stages of development influenced greatly upon a modern Georgian law eventually. The Western orbit chosen by our state presented new challenges to Georgian legal proceedings at our contemporaneity whereas agenda of its modernization is substantiated with relationships between Georgia and the European Union and alignment to European legal standards. “High Contractual Parties within limits of own jurisprudence ensure the rights and freedoms determined in clause I of this Convention”. The Convention “aims to protect specific and efficient rights, but not theoretical or illusive ones”.

შესავალი

კვლევის აქტულობა. ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის 35-ე მუხლი ასახავს საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპს, რომლის თანახმადაც, შეზღუდულია მიმართვა საერთაშორისო ტიპის სასამართლოებისათვის მანამ, სანამ არ ამოიწურება სამართლებრივი დაცვის ყველა ეროვნული საშუალება. აღნიშნული დებულების ნაწილობრივი დანიშნულებაა, კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოებისათვის საშუალების მიცემა, რათა მათ განიხილონ და გადაჭრან კონვენციასა და დამატებით ოქმებში განსაზღვრული უფლებების დარღვევასთან დაკავშირებული პრეტენზიები ეროვნულ დონეზე. ამის ნაწილობრივი მიზანია ეროვნული სასამართლოებისათვის პრაქტიკული საშუალების მიცემა, რათა მათ განიხილონ საქმეებზე წარმოდგენილი მტკიცებულებები, მისცენ მათ შეფასება, გადაჭრან პრეტენზიები და ამით შეამცირონ განაცხადთა დინება სტრასბურგის სასამართლოში.

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყონ კონვენციაში ჩამოყალიბებული უფლებების და თავისუფლებების დაცვა. ვალდებულება ასევე გულისხმობს სამართლებრივი დაცვის საშუალებების უზრუნველყოფას დარღვეული უფლებებისათვის. სწორედ სახელმწიფოები, ეროვნული უწყებების საშუალებით, არიან პასუხისმგებლები უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაზე. რაც შეეხება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს, იგი საქმეში ერევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამართლებრივი დაცვის ეროვნული საშუალებების შედეგად ვერ განხორციელდება უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. სწორედ აღნიშნულ საკითხს მისცა განმარტება სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე *Akdivar v. Turkey*.¹ კონვენციით დადგენილი დაცვის მექანიზმი ატარებს სუბსიდიურ ხასიათს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ მექანიზმებთან მიმართებით“. ანალოგიური მიდგომა გამომჟღავნდა მრავალ სხვა საქმეში, მათ შორის *Schouw Nielsen v. Denmark*², რომელშიც სასამართლომ განაცხადა: მოპასუხე სახელმწიფოს, პირველ რიგში, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რათა მის ხელთ არსებული საშუალებებით ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში აღმოფხვრას ინდივიდუალური პირის მიმართ განხორციელებული დარღვევა“.

ზოგადად, პრეტენზიები არ უნდა წარუდგინონ ევროპის სასამართლოს, სანამ სამართლებრივი დაცვის ყველა ეფექტიანი საშუალება არ ამოიწურება ეროვნულ დონეზე. თუმცა, ევროპის სასამართლოში შეტანილი განაცხადის განხილვას მრავალი თვე სჭირდება და საშუალებების ამოწურვის“ წესი არ მოქმედებს მანამ, სანამ არ განიხილება განაცხადის არსებით

¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Akdivar v. Turkey*

² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Schouw Nielsen v. Denmark*

განხილვაზე დაშვებადობის საკითხი. ამიტომაც განმცხადებელს ხელს არაფერი უშლის, წარუდგინოს განაცხადი სტრასბურგის სასამართლოს ეროვნულ დონეზე საბოლოო სამართლებრივი საშუალების ამოწურვის პარალელურად და საქმის კურსში ჩააყენოს ევროპის სასამართლო ეროვნულ დონეზე მიმდინარე სამართლებრივი საშუალების პროგრესთან დაკავშირებით. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვის“ წესი უნდა გამოიყენონ გარკვეული მოქნილობითა და ზედმეტი ფორმალიზმის გარეშე. ამის მიუხედავად, აღნიშნული წესი მაინც გამოიყენება.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამართლებრივი დაცვის საშუალებათა ამოწურვის მოთხოვნაში იგულისხმება მხოლოდ ისეთი საშუალებები, რომლებიც ხელმისაწვდომია, სავარისია და დაკავშირებულია სავარაუდო დარღვევებთან. აღნიშნული წესი მოითხოვს, ამოიწუროს ყველა ის საშუალება, რომელიც აშკარად არ არის არაეფექტიანი“ და არა ის საშუალებები, რომლებიც აშკარად ეფექტიანია.

სამართლებრივი დაცვის საშუალების ეფექტიანობა იმისათვის, რათა სამართლებრივი დაცვის საშუალება სასამართლომ ეფექტიანად მიიჩნიოს, ამ საშუალებით შესაძლებელი უნდა იყოს დარღვევის აღმოფხვრა და დარღვევის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება მხოლოდ პირდაპირი და არა არაპირდაპირი გზით.

აღნიშნული წესის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია ის, რომ განმცხადებელმა უნდა გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება უმაღლესი ინსტანციის ჩათვლით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი ინსტანციის სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენილ საჩივარს შეუძლია არსებითი ზეგავლენა მოახდინოს საქმის არსებით მხარეზე. ამასთანავე, უნდა გადაიდგას ყველა ის პროცესუალური ნაბიჯი, რომელსაც შეუძლია აღკვეთოს კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევა. ეფექტიანობის ნათელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ექსტრადიციასთან, დეპორტაციასა და გაძევებასთან დაკავშირებული საქმეები. ასეთ საქმეებში სასამართლომ დაადგინა შემდეგი პრინციპი: როდესაც პირი ამტკიცებს, რომ ექსტრადიციის, დეპორტაციისა და გაძევების შედეგად არსებობს მისი მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპყრობის დაქვემდებარების საფრთხე, აღნიშნულის გასაჩივრება ექსტრადიციის, დეპორტაციისა და გაძევების შეჩერების გარეშე არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტიან საშუალებად. ძალიან საინტერესო გადაწყვეტილება გამოიტანა სასამართლომ საქმეზე – *Vijaynathan and Pushparajah v. France*³. აღნიშნულ საქმეში განმცხადებლებს მისცეს სახელმწიფო ტერიტორიის დატოვების დირექტივა, რომელიც არ იქნებოდა სისრულეში მოყვანილი შემდგომი გაძევების ბრძანების გარეშე. ასეთ შემთხვევაში განმცხადებლებს არ

³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – *Vijaynathan and Pushparajah v. France*.

ჰქონდათ სამართლებრივი დაცვის საშუალება, გაესაჩივრებინათ დირექტივის კანონიერება, თუმცა არსებობდა გამევეების ბრძანების (და არა დირექტივის) გასაჩივრების თეორიული შესაძლებლობა. აღნიშნული საჩივრის წარდგენა შესაძლებელი იყო შესაბამისი პირებისათვის ბრძანების ჩაბარებიდან 24 საათში. საფრანგეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლები არ იყვნენ კონვენციით გარანტირებულ უფლებათა დარღვევის მსხვერპლი, რადგან მათ არ გადასცემიათ გამევეების ბრ- ძანება. შესაბამისად, მათ არ მიუმართავთ საჩივრით აღნიშნულ ბრძანებასთან დაკავშირებით და შედეგად არ ჰქონდათ ამოწურული სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალება. სასამართლო დაეთანხმა მთავრობის მოსაზრებას, რომ განმცხადებლებს ჰქონდათ თეორიული შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ გამევეების ბრძანება.

კვლევის მიზანი.

- იურისდიქციის ფარგლები ევროპული სამართლის მიხედვით.
- ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული არქიტექტურის შექმნიდან წლების გასვლის შემდეგაც ადამიანის უფლებების დაცვა ევროპის კონტინენტზე შორს არის იდეალური მდგომარეობისგან.
- ევროსასამართლო უკვე დიდი ხანია გახდა „საკუთარი წარმატების მსხვერპლი“, ვინაიდან ვეღარ აუდის საჩივრებს, რომლებიც განხილვის ჯერს წლების განმავლობაში ელიან.
- პრობლემა აქტუალობას არ კარგავს მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელს პირველად დაფიქსირდა საჩივრების რაოდენობის კლება.
- კონვენციის არსებული სისტემის დასახვეწად აჩვენა სამი მიმართულებით წინსვლის საჭიროება:
 1. კონვენციის იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე;
 2. ევროსასამართლოს წინაშე ეფექტიანი პროცედურის საჭიროება;
 3. ევროსასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება და მათი ზედამხედველობა მინისტრთა კომიტეტის მიერ, რაც ასევე დადასტურებულ იქნა ევროსაბჭოს მესამე სამიტზე ვარშავაში 2005 წელს მიღებულ სამოქმედო გეგმაში.

კონვენციით დადგენილი უფლებების დაცვის ეფექტიანობას განსაზღვრავს კონვენციის 34-ე მუხლით დადგენილი საჩივრის წარდგენის მექანიზმი, ევროსასამართლოს მიერ გამომუშავებული პრინციპები და ტექნიკა, რომელსაც ის მიმართავს ადამიანის უფლებათა დასაცავად. ამ ჯაჭვში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ევროსასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზედმიწევნით და სიზუსტით აღსრულება, როგორც დარღვეული უფლების აღდგენის თაობაზე სამართალწარმოების დასკვნითი ფაზა.

სწორედ გადაწყვეტილებათა აღსრულების ფაზაში ხდება სისტემის ეფექტიანობის გამოცდა — განსაზღვრა იმის, თუ რა კონკრეტული შედეგი მოჰყვება უფლების დარღვეულად ცნობას, უფლების დარღვეულად აღიარებას, მარტივად რომ ვთქვათ, რას მიიღებს ევროსასამართლოს მიერ დარღვევის აღიარების შედეგად მსხვერპლი. გადაწყვეტილებათა სათანადოდ აღსრულება წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას იმ მიზნის (იდეალის) მისაღწევად, რაც მოცემულია კონვენციის პირველ მუხლში, რომლის მიხედვითაც, „მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს“. კონვენციაც სწორედ „მიზნად ისახავს დაიცვას არა თეორიული ან ილუზორული უფლებები, არამედ კონკრეტული და ეფექტიანი“.

თეორილ-მეთოდოლოგიური ბაზა. კვლევის პროცესში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი ავტორებისა და კვლევითი ინსტიტუტების მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელო მასალები. კვლევის მეთოდებს წარმოადგენს

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. ეროვნული და საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის პროცესში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი ავტორებისა და კვლევითი ინსტიტუტების მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელო მასალები. იმ ნაშრომთა შორის რომელმაც დახმარება გაგვიწია აღსანიშნავია:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი თბილისი 2004 - წიგნის უწინარეს დანიშნულებას წარმოადგენს, გააცნოს ქვეყნის ხელისუფლების ორგანოების ყველა შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) წარმომადგენლებს, მოქმედ ადვოკატებსა და იურისტებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მიდგომები და პრეცედენტული სამართალი კონვენციის მუხლებთან დაკავშირებით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის ნორმატიული აქტების შესახებ მე-19 მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას (როგორცადაც გვევლინება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია) საქართველოს სამართლებრივ სისტემაში კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონების შემდეგ გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა ორგანულ თუ მიმდინარე კანონებთან მიმართებით. ამიტომაც ხელისუფლების ორგანოებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ საერთაშორისო ხელშეკრულება და ხელშეკრულებით დადგენილი სტანდარტები იმ ურთიერთობათა რეგულირებისას, რომელსაც შიდა კანონმდებლობა ვერ, ან არაჯეროვნად არეგულირებს. მაგრამ ისმის კითხვა, რა გზით არის შესაძლებელი ხსენებული სტანდარტების დადგენა, როგორ უნდა გახდეს ჩვენთვის ცნობილი, თუ რა სახის პოზიტიურ თუ ნეგატიურ ვალდებულებებს აკისრებს კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, როგორია ევროპული საზოგადოებისა თუ საერთაშორისო უწყებების, კერძოდ, ევროპის სასამართლოს მიდგომა ამ თუ უფლებისა თუ თავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით? კონვენცია ხომ მხოლოდ ე.წ. „მშრალ ტექსტს“ მოიცავს, რომელიც მრავალნაირად შეიძლება აღქმულ იქნეს სხვადასხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ? სწორედ აღნიშნული საკითხის რეგულირებაში თამაშობს გადამწყვეტ როლს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართალი, რომელიც განმარტავს კონვენციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების ქვეტექსტსა და მოქმედების ფარგლებს, სახელმწიფოს მიმართ დაკისრებულ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს დღევანდელ რეალობასთან

მიმართებით. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ყოველთვის ერთნაირი არ იყო და ვერც იქნება, გამომდინარე თვით ევროპული კონვენციის „სიცოცხლისუნარიანობის პრინციპიდან“. ანუ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედებები და ცალკეულ უფლებებსა თუ თავისუფლებებში ჩარევა/შეზღუდვა, რაც მისაღები იყო და სულ რაღაც 15-20 წლის წინ ევროპული სასამართლოს მიერ დასაშვებად ან შედარებით მცირე ხარისხის დარღვევად მიიჩნეოდა, შესაძლოა, მიუღებელი აღმოჩნდეს ევროპული საზოგადოებისა და სასამართლოსათვის დღევანდელ რეალობაში, რასაც განაპირობებს ადამიანის უფლებათა სულ უფრო და უფრო მზარდი სტანდარტები. ხსენებულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რათა საქართველოს ხელისუფლების ორგანოების ყველა შტოს წარმომადგენლებმა ჯეროვნად გაითვალისწინონ და ქმედებების განხორციელებისას მხედველობაში იქონიონ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის უახლესი მაგალითები, რათა თავიდან ავირიდოთ ევროპულ სასამართლოში ქვეყნის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები. თუმცა, გარკვეული ბარიერების არსებობა და აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება ამ საკითხთან მიმართებით საქართველოში მოქმედ იურისტებს შორის, რომელთა გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, რომ ხელისუფლების ორგანოები არ არიან ვალდებული, გამოიყენონ ან მხედველობაში მიიღონ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რადგანაც საქართველო განეკუთვნება კონტინენტური (და არა ანგლოსაქსური) სამართლის ქვეყანათა რიცხვს და შიდა სამართლებრივ სისტემაში მოქმედი არც ერთი ნორმატიული აქტი არ ავალდებულებს მათ ამის გაკეთებას.³ მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ პრეცედენტული სამართალი განმარტავს, აზუსტებს და ნათელს ჰფენს კონვენციაში მოცემულ უფლებებსა და თავისუფლებებს, განსაზღვრავს ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლებს.

ამ კუთხით გარკვეული წინსვლა და პოზიტიური ნაბიჯები აღინიშნება, განსაკუთრებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან, რომელმაც რამდენიმე საქმეში გამოიყენა და დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით, რომელიც კრძალავს წამებას, უზენაესმა სასამართლომ თავის 2002 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაში *aliev vs saqmeze* გაითვალისწინა კონვენციის მე-13 მუხლი და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილი კონვენციის მე-3 მუხლიდან გამომდინარე ქვეყნის პოზიტიური ვალდებულება და მიუხედავად სისხლის სამართლის პროცესში არსებული გარკვეული ხარვეზებისა (რომელიც არაჯეროვნად არეგულირებდა პირის სხვა სახელმწიფოში ექსტრადიციის პროცედურას და მას სასამართლო დაცვის ვერავითარ გარანტიებს ვერ ანიჭებდა), გენერალური პროკურორის მიერ ალიევის

რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის გადაწყვეტილების მიზანშეწონილობისა და სამართლიანობის საკითხის განხილვა დაუქვემდებარა მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს.

აღნიშნული საქმე გახდა ერთ-ერთი წინაპირობა იმისა, რომ ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებს მისცემოდათ საშუალება, ესარგებლათ სასამართლო უფლებით. წინამდებარე წიგნის უმთავრეს მიზანს სწორედ ასეთი პრაქტიკის გაღრმავება და დახვეწა წარმოადგენს. სამწუხაროდ, დღევანდელ რეალობაში მაინც ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ადგილი აქვს კონვენციით დაცული უფლებების დარღვევას, განსაკუთრებით, სამართალდამცავ ორგანოებსა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. ამასვე მოწმობს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული მოხსენებები და კრიტიკული შენიშვნები.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ანალიტიკური განყოფილების კვლევა - “ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება და ეროვნული სასამართლოების როლი” თბ. 2019 - წინამდებარე კვლევა მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ და ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება და ეროვნული სასამართლოს როლი ამ პროცესში.

ნაშრომში მკითხველი გაეცნობა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცედურას, სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ზოგად და ინდივიდუალურ ღონისძიებათა სახეებს, ისევე როგორც აღსასრულებელ საქმეთა სპეციფიკას.

კვლევაში ყურადღება ეთმობა სტრასბურგის გადაწყვეტილებისა და განჩინების საფუძველზე ეროვნულ დონეზე საქმეთა ხელახლა განხილვის შესაძლებლობას. ამასთან, კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია ბოლო წლების განმავლობაში ეროვნული სასამართლოების წინაშე განახლებული ათზე მეტი საქმე და წარმოდგენილია კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები და შესაბამისი რეკომენდაციები.

კონსტანტინე კორკელიას სახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება“ თბ. 2007 და „როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით?“ თბ. 2010. ნაშრომის მიზანია, დაანახვოს მკითხველს, საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების გამოყენების უპირატესობანი მართლმსაჯულების განხორციელებისას. ხშირად ევროპული სტანდარტების გამოყენება იძლევა ადამიანის უფლებათა უფრო მაღალი ხარისხით დაცვის შესაძლებლობას. ნაშრომში განიხილება, მოახდინა თუ არა დადებითი გავლენა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კონვენციამ საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტებით დაცვაზე და რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ევროპული სტანდარტები დაცული იყოს საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში.

ნაშრომში გაანალიზებულია 1999- 2010 წლების საქართველოს საერთო სასამართლოების თითქმის ყველა გადაწყვეტილება, რომლებშიც გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები. მოკლედ შეიძლება აღინიშნოს, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების საკმაოდ ბევრი შემთხვევაა.

ნაშრომში გავცანით ევროპული სახელმწიფოების, სასამართლო პრაქტიკას, რაც შეიძლება გახდეს გარკვეული ორიენტირი ქვეყანაში ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის სრულყოფის თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების პოპულარიზაციისათვის გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მხარდაჭერით სხვა პუბლიკაციებიც გამოიცა, როგორებიცაა: „ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე“ (2006 წ.), „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები“ (2007 წ.) და „ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები“ (2009 წ.).

ნაშრომი ხელს უწყობს საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული გამოცდილების გაზიარებას, რაც საბოლოოდ განამტკიცებს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემას ქვეყანაში.

ბოლო წლებში საქართველოში აქტუალურ სამართლებრივ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესწავლა და აღნიშნულ ქმედებებზე პასუხისმგებელ პირთა გამოვლენა და დასჯა. მართალია, გასული წლების განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ მიმართული სისტემური დარღვევები მნიშვნელოვანწილად აღმოიფხვრა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა კვლავაც აქტუალურ საკითხს წარმოადგენს საზოგადოებრივ რეალობაში. ასევე, პრობლემურ საკითხად მიიჩნევა წამების საქმეთა სათანადო კვალიფიკაცია, რაც ასევე ხაზგასმულია სახალხო დამცველის ანგარიშებში². ამასთან, მოცემულ პრობლემატიკაზე მიუთითებს ეროვნული სასამართლოების წინაშე სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული მუხლებით განხილული საქმეების სიმწირე.

ამ მხრივ დახმარება გავიწია მარინე კვაჭაძის კვლევამ „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული

სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში“ საქართველოს უზენაესი სასამართლო ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრი თბილისი 2019 - კვლევა ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში მოცემულია წამების აკრძალვის მიმოხილვა საერთაშორისო სამართლის მიხედვით და ის მიზნად ისახავს განიხილოს წამების აკრძალვასთან დაკავშირებული გაეროსა და ევროსაბჭოს სტანდარტები, რაც მოიცავს წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა სახეების ზუსტ განსაზღვრასა და მათ დიფერენცირებას. გარდა ამისა, კვლევის პირველ ნაწილში წარმოჩენილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების სფეროს ფარგლები და ამ კონტექსტში სისასტიკის მინიმალური ზღვრის მნიშვნელობა, ასევე დეტალურადაა განხილული კონვენციის მოცემული დებულების საფუძველზე სახელმწიფოთათვის დაკისრებული პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები. ამასთან, კვლევის მნიშვნელოვანი ამოცანაა, სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, მაქსიმალურად ამომწურავად წარმოაჩინოს ყველა ის ქმედება, რომელიც წამებასა და არასათანადო მოპყრობის სხვა სახეებთან მჭიდროდაა დაკავშირებული, შესაბამისად, გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ისეთი საქმეები, რომლებიც ეხება პატიმრობის პირობებს, საპატიმრო დაწესებულებებში სამედიცინო დახმარების გაუწევლობას, წამების მუქარას, ექსტრადიციასა და მე-3 მუხლის დარღვევის სხვა ნაკლებად ცნობილ სახეებს.

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს და წამებასთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ განხილულ საქმეებს. კვლევის მეორე ნაწილი ეხება წამებასთან დაკავშირებით ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესწავლას საერთაშორისო სამართლის ჭრილში.

კვლევის მეორე ნაწილის მიზანია შეისწავლოს ეროვნული სასამართლოების მიერ წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები, გაანალიზოს საქართველოს სასამართლოების მიერ საერთაშორისო სტანდარტების ასახვა და ყურადღება გაამახვილოს გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარისხზე. თავის მხრივ, ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად წარმოჩნდება აღნიშნული საქმეების დასაბუთების თვალსაზრისით არსებული პრობლემები, აგრეთვე გამოიკვეთება წამებასთან დაკავშირებულ საქმეთა გადასაწყვეტად არსებითად მნიშვნელოვანი ასპექტები.

თავი II. ევროპული საერთაშორისო ხელშეკრულებების თეორიული ასპექტები

2.1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მოქმედება 1-ლი მუხლის შესაბამისად

ევროპული კონვენციის პირველი მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ თითოეული პირისათვის "მათი იურისდიქციის შესაბამისად" უზრუნველყონ ევროპული კონვენციის I ნაწილით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები⁴. პირველი დასკვნა, რომელიც შეიძლება მუხლის ტექსტიდან გამოვიტანოთ, არის ის, რომ იგი არ შეიცავს რაიმე შეზღუდვას მისი მოქმედების შესახებ მოქალაქეობის საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონვენციის თითოეული მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მისით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არა მხოლოდ მის მოქალაქეებზე, არამედ უცხოელებზე და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, თუ ამ სახელმწიფოს იურისდიქცია ვრცელდება ამ პირებზე. უფრო მეტიც, ჩვენ ვსაუბრობთ როგორც ევროპულ კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოების ორივე მოქალაქეზე, ასევე იმ სახელმწიფოების მოქალაქეებზე, რომლებიც არ არიან მასში მონაწილე მხარეები.

მთავარი კრიტერიუმი იგივე რჩება - შესაბამისი იურისდიქციის გაფართოება ამ პირებზე. როგორც ნათქვამია ადამიანის უფლებათა ევროკომისიის მოხსენებაში, ავსტრიის წინააღმდეგ იტალიის შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გახდება ევროპული კონვენციის მონაწილე მხარე, იგი იღებს ვალდებულებას, სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში, "უზრუნველყოს I სექციაში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებების დაცვა თითოეულ პირზე. საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, მოქალაქეობის ან სტატუსის საფუძველზე რაიმე გამიჯვნის გარეშე; იგი ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს ეს უფლებები და თავისუფლებები არამარტო საკუთარი მოქალაქეებისა და სხვა მაღალი ხელშემკვრელი

⁴ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო 1950 წელი.

მხარეების მოქალაქეებისთვის, არამედ იმ სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის, რომლებიც არ არიან კონვენციის მონაწილე მხარეები და პირები. მოქალაქეობის გარეშე⁵”.

იგი მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში იღებს ვალდებულებას, ”უზრუნველყოს I სექციაში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები თითოეული იურიდიული პირისათვის, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, მოქალაქეობის ან სტატუსის საფუძველზე რაიმე განსხვავებისაგან; და თავისუფლებები არა მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებსა და სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეებს, არამედ იმ სახელმწიფოების მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან კონვენციის მონაწილე და მოქალაქეობის არმქონე პირები. ”იგი მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში იღებს ვალდებულებას, ”უზრუნველყოს I სექციაში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები თითოეული იურიდიული პირისათვის, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში, მოქალაქეობის ან სტატუსის საფუძველზე რაიმე განსხვავებისაგან; და თავისუფლებები არა მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებსა და სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მოქალაქეებს, არამედ იმ სახელმწიფოების მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან კონვენციის წევრი და მოქალაქეობის არმქონე პირები. ”არამედ იმ სახელმწიფოების მოქალაქეებს, რომლებიც არ მონაწილეობენ კონვენციაში და მოქალაქეობის არმქონე პირები. ”არამედ იმ სახელმწიფოების მოქალაქეებს, რომლებიც არ მონაწილეობენ კონვენციაში და მოქალაქეობის არმქონე პირები⁶.”

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, რომლის შედეგადაც შეიძლება მივიღოთ ევროპული კონვენციის პირველი მუხლის დებულებათა ანალიზი, არის ის, რომ არ აქვს მნიშვნელობა პირს, ვისთვისაც უზრუნველყოფილია უფლებები და თავისუფლებები, მდებარეობს დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. აქ საჭიროა მცირე ზომის დაჯავშნა. თუ ჩვენ მივმართავთ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე საერთაშორისო პაქტის ტექსტს, ჩვენ დავინახავთ, რომ ამ დოკუმენტის მე-2 მუხლის შესაბამისად, პაქტში მონაწილე თითოეული სახელმწიფო ვალდებულია, რომ ”პატივი სცეს და უზრუნველყოს ყველა, ვინც მის ტერიტორიაზეა, მისი იურისდიქციის ფარგლებში, პირებს ამ პაქტით აღიარებული უფლებები აქვთ“.⁷ როდესაც ევროპული კონვენციის ტექსტი იყო შედგენილი, საკონსულტაციო ასამბლეამ შესთავაზა ხელშეკრულების პროექტში ჩაწერილი იყოს სიტყვები ”[ყველა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ხელმომწერი ტერიტორიების ყველა პირი”. ამასთან, ექსპერტთა კომიტეტმა ადრე უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო და, ამრიგად, გააფართოვა, უფრო

⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის მოხსენება, ევროპის საბჭო 1992 წელი.

⁶ Application 788/60, Austria vs. Italy, Yearbook IV (1961). P.116.

⁷ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 1966 წელი.

ზუსტად, ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ფარგლები.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო, ევროპული კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ, კისრულობს ორმხრივ ვალდებულებას. უპირველეს ყოვლისა, იგი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი ეროვნული კანონმდებლობა შეესაბამება კონვენციას. ეს ვალდებულება უნდა იქნას გამოყენებული სხვა დებულებასთან, 57-ე მუხლთან ერთად, რომელიც კრძალავს კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოებს ზოგადი დათქმების გაკეთებისას. ზოგიერთ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ გარკვეული ცვლილებები მათ კანონმდებლობაში და სამართალდამცავ პრაქტიკაში. როგორც გამოცდილება აჩვენებს, გაცილებით მიზანშეწონილია ამ ოპერაციის განხორციელება ევროპულ კონვენციაზე შესვლამდე, იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ევროსასამართლოში საჩივრების შეტანა კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით.

მეორეც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ევროკავშირის კონვენციის რატიფიცირებულმა სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერი დარღვევა, რაც მათ აქვთ, რაც ექვემდებარება კონვენციის დაცვის რეჟიმს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შესაძლოა, ევროპული კონვენციის პირველი მუხლის დებულებების ანალიზის მთავარი მნიშვნელობა, რომელიც აუცილებელია მისი მოქმედების მასშტაბის დასადგენად, არის ტერმინის დაზუსტება. ერთი შეხედვით, ეს გამოთქმა ზღუდავს კონვენციით გათვალისწინებულ პირთა რაოდენობას. სინამდვილეში, იგი უბრალოდ ამყარებს აუცილებელ კავშირს "ყველას" კონცეფციასა და მონაწილე სახელმწიფოს (ან, ევროპული სასამართლოს წინაშე კონკრეტული საქმის შემთხვევაში), ადამიანის უფლებების ან თავისუფლების დარღვევის მსხვერპლს შორის და კონვენციის მონაწილე სახელმწიფო, რომლის მიმართაც ხდება ეს დარღვევა. "ბრალი"). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს რეალური შესაძლებლობა უზრუნველყოს გარანტირებული უფლებები, რათა კონვენცია იყოს ეფექტური მის მიმართ. ანუ, სახელმწიფომ უნდა შეძლოს გამოიყენოს გარკვეული უფლებამოსილებები კერძო პირთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ კონვენციის 1-ე მუხლში გამოყენებული იურისდიქციის კონცეფცია განმეორებით იქნა განხილული

სტრასბურგის საზედამხედველო ორგანოების მიერ (ადამიანის უფლებათა ევროკომისია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო). როგორც წესი, სახელმწიფოები თავად განსაზღვრავენ თავიანთ იურისდიქციას. ამავდროულად, წინაპირობაა სახელმწიფოების მიერ იმ შეზღუდვების დაწესების განხილვა, რომლებიც მასზე დაწესებულია საერთაშორისო სამართლით, და კონკრეტულ შემთხვევაში, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, ევროპული კონვენციის შესაბამისი მუხლებით. მაგალითად, 56-ე მუხლის შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია გააგრძელოს კონვენციის გამოყენება "ყველა ტერიტორიაზე ან რომელიმე მათგანზე, ვისი საერთაშორისო ურთიერთობებისთვისაც იგი პასუხისმგებელია". ამავ დროს, ევროკომისიამ და სასამართლომ განმარტარომ 1-ე მუხლში გამოყენებული იურისდიქციის ცნება მოიცავს სახელმწიფო იურისდიქციის იდეას საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ პირზე.

ევროპული სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებებიდან, რომელიც ასევე განიხილავდა იურისდიქციის საკითხს, შეიძლება განჩინება გამოვყოთ საქმეში ლისიზუსთან, სადაც სასამართლომ მკაფიოდ განსაზღვრა თავისი პოზიცია იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში თურქეთის მთავრობამ უარი თქვა იურისდიქციის შესახებ, კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილს ოკუპირებული საკუთარი შეიარაღებული ძალების ქმედებებზე. მხარეთა შორის დავის არსებითი განხილვისას არ ეწინააღმდეგება თავის პოზიციას, სასამართლო ასკვნის, რომ კონვენციის 1-ლი მუხლის დებულებები გამოიყენება ამ საკითხის მიმართ:

”მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი მუხლი განსაზღვრავს კონვენციის ფარგლებს, მასში გამოყენებული” იურისდიქციის ”კონცეფცია არ ზღუდავს კონვენციის გამოყენებას მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ტერიტორიაზე. მისი დადგენილი იურისდიქციის შესაბამისად, სასამართლომ, კერძოდ, გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ხელშემკვრელი მხარის მიერ პირის ექსტრადიცია ან განძევება შეიძლება განხილული იქნას მე -3 მუხლის კუთხიდან და, შესაბამისად, შეიძლება წარმოიშვას კონვენციით გათვალისწინებული სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ... გარდა ამისა, ხელშემკვრულების მხარეები შეიძლება პასუხისმგებელნი იყვნენ ურთიერთობა ხელისუფლების ქმედებებთან, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა ისინი ქვეყნის საზღვრებს გარეთ თუ მის ფარგლებს გარეთ, თუ ასეთი ქმედებები იწვევს შედეგებს საკუთარ ტერიტორიის გარეთ ...

კონვენციის მიზნებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ხელშემკვრელი მხარე შეიძლება იყოს პასუხისმგებელი, თუ საომარი მოქმედებების შედეგად - როგორც კანონიერი, ისე უკანონო - ის ახორციელებს ეფექტურ კონტროლს მისი ტერიტორიის გარეთ მდებარე ნებისმიერ

ტერიტორიებზე. კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება ასევე გამომდინარეობს ამგვარი კონტროლის ფაქტიდან, იქნება ეს უშუალოდ მისი შეიარაღებული ძალების მიერ, თუ მისი დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით⁸. “

უფრო ადრე, 1993 წელს, სასამართლომ Costello Roberts v. გაერთიანებული სამეფოს საქმეში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მონაწილე სახელმწიფო ვერ შეძლებდა პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას "საკუთარი ვალდებულებების გადაცემით კერძო ორგანიზაციებთან ან კერძო პირებთან"⁹.

აქვე უნდა დავამატოთ, რომ პირველი მუხლის დებულება უნდა იქნას წაკითხული 53-ე მუხლთან ერთად (რომელიც ადრე იყო 60-ე მუხლი მე-11 ოქმის ძალაში შესვლამდე), რომელიც სპეციალურად იყო შექმნილი დაცული უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად. 53-ე მუხლის თანახმად, "კონვენციის არაფერი უნდა იქნას განმარტებული, როგორც ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვა ან გადახრა, რაც შეიძლება გარანტირებული იყოს ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარის კანონით ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით, რომელშიც იგი მონაწილეობს".

ამრიგად, ევროპული კონვენცია შემოიღებს მხოლოდ მინიმალურ დონეს, დაცვის მინიმალურ სტანდარტს, რაც გარანტირებული უნდა იყოს კერძო პირებისთვის. ეს არ ერევა უკეთესი დაცვის უზრუნველყოფას შიდა ან საერთაშორისო სამართლის განხორციელების გზით. მოგეხსენებათ, რომ ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები, როგორც წესი, ასევე მონაწილეობენ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მხარეზე. თავის მხრივ, პაქტი ზოგიერთ შემთხვევაში ითვალისწინებს უფლებებისა და თავისუფლებების ფართო სპექტრის გარანტიას, ვიდრე ეს განსაზღვრულია კონვენციით.

კიდევ ერთი მაგალითი: დისკრიმინაციისაგან თავისუფლების დარღვევა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ შეიძლება ჩაითვალოს დამოუკიდებელ საჩივარად. ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი ადგენს, რომ "ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები გათვალისწინებულია ყოველგვარი დისკრიმინაციის საფუძველზე სქესის, რასის, ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა რწმენის, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობების, საკუთრების სტატუსის, დაბადების და სხვა საფუძველების საფუძველზე."¹⁰ ამრიგად, სასამართლოს წინაშე მე-14 მუხლის დარღვევა

⁸ Решение от 23 марта 1995 года по делу Loizidu, Series A: Judgments and Decisions, Volume 310. P. 24.

⁹ 36 Решение от 25 марта 1993 года по делу Costello-Roberts, Series A: Judgments and Decisions, Volume 247-C, para 27.

¹⁰ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭო, 1950 წელი, მუხლი 14.

შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე სხვა უფლების ან თავისუფლების დარღვევა, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციის 2 – დან 12 – ე მუხლებით ან No.1, 4, 6 ან 7. ოქმებში¹¹. დრო, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, აკრძალულია ნებისმიერი "განსხვავება, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობა რასის, ფერის, წარმოშობის, წარმოშობის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე." ადამიანის უფლებების ან ძირითადი თავისუფლებების თანაბარი საფუძველზე აღიარების, გამოყენების ან განხორციელების განადგურების ან შემცირების მიზნით, ან საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან სხვა სფეროებში.¹² ამრიგად, რასობრივი დისკრიმინაცია გამოიხატება, როგორც დამოუკიდებელი უფლება, რომელიც სახელმწიფოსთვის უნდა იყოს გარანტირებული, თუ იგი არის როგორც ევროპული კონვენციის მხარე, ასევე საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ.

¹¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის პირველი, მე-4, მე-6 და მე-7 ოქმები, ევროპის საბჭო.

¹² Международная конвенция о ликвидации всех форм расовой дискриминации. Статья 1.

2.2. „ყველას“ მიმართ კონვენციის 1-ლ მუხლში გამოყენებული ტერმინი

„ყველა“ მოიცავს არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ ასევე უცხოელებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს და ქმედუუნარო პირებს. ამდენად, ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების მონაწილე სახელმწიფოებმა ყველასათვის უნდა უზრუნველყონ თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში იმ უფლებათა დაცვა, რომლებიც დადგენილია კონვენციის I ნაწილსა და მის ოქმებში. მართალია, კონვენციის 1-ლი მუხლის მიხედვით, კონვენცია გამოიყენება „ყველას“ მიმართ, კონვენცია იმ ეხპრესსო ადგენს, რომ ზოგიერთი უფლება შეიძლება შეიზღუდოს მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ (მაგალითად, მე-16 მუხლის მიხედვით, შეიძლება შეიზღუდოს უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობა). ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობა უზრუნველყოფს ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს „ყველას“ მიმართ. საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს შემდეგ ზოგად დებულებას: „საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.“¹³ ეს კონსტიტუციური დებულება ცხადყოფს, რომ ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით უზრუნველყოფილნი არიან არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები, არამედ ასევე სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები¹⁴.

საქართველოს სხვა ნორმატიული აქტები პირდაპირ ადგენენ კანონმდებლობის გამოყენებას არა მხოლოდ მოქალაქეების, არამედ ასევე მოქალაქეობის არმქონე პირების მიმართ. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, სხვა სახელმწიფოთა მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს გარანტირებული აქვთ „საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის იმის უფლება, რომ მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს ... უფლებათა დასაცავად.“

¹³ საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

¹⁴ Study on the Compatibility of Georgian Law with the Requirements of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and its Protocols: Pilot Project, prepared by A.Kakhniashvili, A. Nalbandov, G. Tskrialashvili, HRCAD(2001)2, 2001, 65-66, 80-83, 129

„უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონის თანახმად, „უცხოელებს საქართველოში ისეთივე უფლებები და თავისუფლებები აქვთ [...], როგორც საქართველოს მოქალაქეებს [...]. უცხოელები საქართველოში თანასწორნი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებათა მიუხედავად. [...] საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელთა [...] უფლებებსა და თავისუფლებებს. [...] საქართველო თავის მოქალაქეთა თანაბრად იცავს თავის ფარგლებს გარეთ დროებით მყოფ იმ მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში.“ (მე-3 მუხლი).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი ადგენს, რომ: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირდაპირ ან წარმომადგენლის მეშვეობით პირდაპირ მიმართოს სასამართლოს.“ (მე-3 მუხლი). სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლოს წესით დაცვა (მე-2 მუხლი) და რომ მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საფუძველზე (მე-5 მუხლი)¹⁵.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ყველა პირი თანასწორია კანონისა და სასამართლოს წინაშე.¹⁶ საქართველოს კანონმდებლობის ზოგად დებულებათა მიუხედავად, რომლებიც კრძალავენ მოქალაქეობის არმქონე პირთა დისკრიმინაციას, პრობლემა შეიძლება წარმოიშვას უცხოელთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა განათლების მიღების უფლებასთან დაკავშირებით. ნაშრომში ამ პრობლემის დეტალური განხილვის გარეშე შეიძლება მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ კანონი „განათლების შესახებ“, იმ დებულებებთან ერთად, რომლებიც ეხება „ყველას“, შეიცავს მხოლოდ „მოქალაქეებთან“ დაკავშირებულ განათლების მიღების უფლების სხვადასხვა ასპექტის მომწესრიგებელ დებულებებს¹⁷. ევროპული კონვენციის მე-16 მუხლი უშვებს უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვას. ეს მუხლი მიზნად ისახავს, დაადგინოს გამონაკლისი როგორც მე-14 მუხლით გათვალისწინებული არადისკრიმინაციის პრინციპიდან, ისე იმ პრინციპიდან, რომლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი იურისდიქციის

¹⁵ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1997 წლის 14 ნოემბერი.

¹⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 1998 წლის 20 თებერვალი.

¹⁷ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა განათლების მიღების უფლების მდგომარეობის დეტალური ანალიზის შესახებ იხ. A Study on the Compatibility of Georgian Law with the Requirements of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and its Protocols: Pilot Project, prepared by A. Kakhniashvili, A. Nalbandov, G. Tskrialashvili, HRCAD(2001)2, 2001, 128-129.

ფარგლებში ყველას უზრუნველყოფენ ამ კონვენციით განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით.

ცხადყოფს, რომ მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა უცხოელთა მიმართ ეხება მხოლოდ უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობას. თუ უცხოელთა საქმიანობა მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებით მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით არ არის პოლიტიკური, უცხოელები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი იმავე უფლებებით, რა უფლებებიც ენიჭებათ ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს ხსენებული მუხლებით¹⁸. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით უზრუნველყოფილნი არიან არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ასევე იურიდიული პირები. საქართველოს კონსტიტუციის 45- ე მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე. ბ) კონვენციის იურისდიქციის/ტერიტორიული ფარგლები ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლი იცავს „ყველას“ კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა „იურისდიქციის ფარგლებში“. სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ფიზიკურად უზრუნველყონ კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები.¹⁹

სხვა სიტყვებით, სახელმწიფოს უნდა შეეძლოს, განახორციელოს გარკვეული უფლებამოსილება ამ პირთა მიმართ სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით. ტერმინი იურისდიქცია, რომელიც გამოიყენება კონვენციის 1-ლ მუხლში, სტრასბურგის ორგანოთა განხილვის ობიექტი იყო რამდენიმე სასამართლო საქმეში. კომისიისა და სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა ცხადყო, რომ ტერმინი იურისდიქცია უფრო ფართოა, ვიდრე ტერმინი ტერიტორია. სახელმწიფოს იურისდიქციასთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმეა ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ (Loizidou v. Turkey), რომელშიც თურქეთის მთავრობამ უარყო თავისი იურისდიქცია თურქეთის იმ სამხედრო ძალების საქმიანობაზე, რომლებმაც მოახდინეს ჩრდილოეთ კვიპროსის ოკუპირება. თურქეთის სამხედრო ძალებმა ხელი შეუშალა განმცხადებელს, გადასულიყო ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე და ესარგებლა იქ არსებული თავისი საკუთრებით.

¹⁸ დეტალური ანალიზისათვის იხ. Study on the Compatibility of Georgian Law with the Requirements of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and its Protocols: Pilot Project, prepared by A. Kakhniashvili, A. Nalbandov, G. Tskrialashvili, HRCAD(2001)2, 2001, 80-83.

¹⁹Robertson & J. Merrills, Human Rights in Europe: A Study of the European Convention on Human Rights, 1993, 27-28. 17

ამ საქმეზე სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განცხადება: „მიუხედავად იმისა, რომ 1-ლი მუხლი ადგენს შეზღუდვებს კონვენციის ფარგლების მიმართ, „იურისდიქციის“ კონცეფცია, ამ დებულების მიხედვით, არ იზღუდება მაღალი ხელშემკვრელი მხარეების ეროვნული ტერიტორიით. დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მაგალითად, სასამართლომ დაადგინა, რომ პირის ექსტრადირებამ ან გაძევებამ ხელშემკვრელი მხარის მიერ შეიძლება წამოჭრას მე-3 მუხლთან დაკავშირებული საკითხი და, შესაბამისად, დადგეს ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი კონვენციის მიხედვით. [...] ამასთან ერთად, ხელშემკვრელი მხარის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს იმ აქტების გამო, რომლებსაც შედეგები მოჰყვება მათი ტერიტორიების გარეთ. ... კონვენციის ობიექტისა და მიზნის გათვალისწინებით, ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა ასევე შეიძლება დადგეს, როდესაც სამხედრო მოქმედების შედეგად – მიუხედავად იმისა, იგი კანონიერია თუ უკანონო – სახელმწიფო ახორციელებს ეფექტიან კონტროლს თავისი ეროვნული ტერიტორიის ფარგლებს გარეთა ტერიტორიაზე. ამ ტერიტორიაზე კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ვალდებულება გამომდინარეობს ასეთი კონტროლის ფაქტიდან, იმის მიუხედავად, იგი ხორციელდება უშუალოდ, მისი შეიარაღებული ძალების, თუ დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით²⁰.“

ერთ-ერთი დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს სასამართლოს ამ განცხადებიდან, არის ის, რომ ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფო არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი იმ მოქმედებაზე ან უმოქმედობაზე, რომელიც ჩადენილ იქნა მის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე იურისდიქციასთან დაკავშირებით არის ბანკოვიჩი და სხვები ნატოს წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ (*Banković and Others v. NATO Member States*).

ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს იურისდიქციული კომპეტენცია ძირითადად შეზღუდულია მისი ტერიტორიით, გამონაკლის შემთხვევაში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს იმ მოქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს მთავრობის მიერ თავისი ტერიტორიის კონტროლთან დაკავშირებული მდგომარეობა პრობლემურია. 90-იანი წლების დასაწყისში მომხდარი მოვლენების გამო საქართველოს მთავრობას არ ძალუძს, გააკონტროლოს თავისი ორი რეგიონი – აფხაზეთი და სამაჩაბლო (ყოფილი სამხრეთ ოსეთი). სამხედრო კონფლიქტების შედეგად შექმნილი თვითგამოცხადებული რესპუბლიკების ეს ტერიტორიები საქართველოს მთავრობის დე ფაქტო

²⁰ (*Loizidou v. Turkey*), 1995 wlis 23 marti, Series A no. 310, 62-e punqti. 15 2001 wlis 12 dekemberi, ECHR 2001-XII.

კონტროლს მიღმა არიან. ცხადია, რომ არცერთი მათგანი არ არის ევროპული კონვენციის მონაწილე. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამშვიდობო ძალები (რომლებიც სინამდვილეში რუსი სამხედროები არიან) დისლოცირებულნი არიან აფხაზეთის ტერიტორიაზე.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, აფხაზეთში მყოფი მშვიდობისმყოფელები სარგებლობენ იმუნიტეტით საქართველოს იურისდიქციისაგან. იმ ფაქტს, რომ საქართველოს მთავრობა ვერ აკონტროლებს ხსენებულ ორ რეგიონს, პირდაპირი გავლენა აქვს ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების გამოყენებასა და, კონვენციის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე, საქართველოს ვალდებულებაზე, დაიცვას ადამიანის უფლებები. საქართველომ არ გააკეთა რაიმე დათქმა/განცხადება კონვენციისა და მისი მე-4, მე-6, მე-7 ოქმების მიმართ, მათი რატიფიცირების დროს 1999/2000 წლებში. თუმცა საქართველომ გააკეთა ტერიტორიული განცხადებები 1-ლი, მე-12 და მე-13 ოქმების მიმართ.

1-ლი ოქმის რატიფიცირების სიგელი ითვალისწინებს საქართველოს შემდეგ განცხადებას: „საქართველო აცხადებს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარების გამო საქართველოს ხელისუფლება მოკლებულია შესაძლებლობას, იკისროს პასუხისმგებლობა ამ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების დებულებათა პატივისცემასა და დაცვაზე ამ ტერიტორიებზე. ამდენად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის განხორციელების შესაძლებლობის აღდგენამდე საქართველო იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნულ ტერიტორიებზე თვითგამოცხადებული, უკანონო ხელისუფლების ორგანოების მიერ პირველი ოქმის დებულებათა დარღვევაზე.“²¹“²⁰ საქართველომ გააკეთა მსგავსი ტერიტორიული განცხადება მე-12 ოქმის მიმართ. იგი ადგენს, რომ „აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე საქართველო იხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნულ ტერიტორიებზე ... ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.“

პირველი ოქმის მიმართ საქართველომ გააკეთა შემდეგი დათქმა:

„ პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება არ გავრცელდეს იმ პირებზე, რომლებსაც „იძულებით გადაადგილებულ პირთა–დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვთ ან მიენიჭებათ დევნილის სტატუსი ამ სტატუსის მინიჭების გარემოებების აღმოფხვრამდე. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, აღნიშნული კანონის თანახმად, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას, უზრუნველყოს დევნილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე არსებული საკუთრების მიმართ ქონებრივი უფლებების

²¹ ევროპის საბჭოს სახელმწიფოებო სამსახურის ინტერნეტ-გვერდი: <http://conventions.coe.int>

განხორციელება ამავე კანონის პირველი მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ.

პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება გავრცელდეს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროზე იმავე კანონის მე-4, მე-8, მე-15 და მე-19 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება გავრცელდეს „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება გავრცელდეს „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ ურთიერთობებზე ამავე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს ყოფილ სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ანაბრებზე რიცხული სახსრების დაბრუნებაზე პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება გავრცელდეს საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 2 ივლისის 258 ბრძანებულების საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტის შესაბამისად²².

ტერიტორიული განცხადებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არსებული მდგომარეობის გამო. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში არსებული დე ფაქტო მდგომარეობა ნათლად ხსნის საქართველოს ხელისუფლების პოზიციას. თუმცა აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ ძალუძს, განახორციელოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიების ეფექტიანი კონტროლი, თავის შეკავება ტერიტორიული განცხადების გაკეთებისაგან კონვენციისა და მისი მე-4, მე-6 და მე-7 ოქმების რატიფიცირების დროს შეიძლება აიხსნას კონვენციით ასეთი დათქმის/განცხადების გაკეთების აკრძალვით. კონვენციის 56-ე მუხლი ტერიტორიული გამოყენების შესახებ ეხება კონვენციის გამოყენებას მხოლოდ იმ ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზე ის არის პასუხისმგებელი. ამდენად, აშკარაა, რომ 56-ე მუხლი არ ეხება საქართველოს სიტუაციას. მეორე მხრივ, 57-ე მუხლი დათქმებთან დაკავშირებით ადგენს რიგს მოთხოვნებისას, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფომ, რათა გააკეთოს დათქმა, ზოგადი ხასიათის დათქმის აკრძალვისა და შესაბამისი სახელმწიფოს მოქმედ ნორმატიულ აქტზე დაყრდნობის ჩათვლით²³. როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობას სწამდა, რომ ტერიტორიული განცხადება/დათქმა არ იქნებოდა მისაღები კონვენციის შესაბამისი დებულებების მიხედვით. ასეთი

²² ევროპის საბჭოს სახელმწიფოებო სამსახურის ინტერნეტ-გვერდი: <http://conventions.coe.int>

²³ K. Korkelia, New Challenges to the Regime of Reservations under the International Covenant on Civil and Political Rights, 13 European Journal of International Law 2, 2002, 442-444.

განცხადების/დათქმის მიუღებლობა შემდგომ დადასტურდა ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში დასაშვებობის შესახებ საქმეზე – ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (Ilaşcu and Others v. Moldova and the Russian Federation)²⁴.

დნესტრისპირეთის – ტერიტორია, რომელსაც ვერ აკონტროლებს მოლდოვის ხელისუფლება – მიმართ მოლდოვის მიერ გაკეთებული დათქმა ევროპულმა სასამართლომ ბათილად მიიჩნია, რადგან იგი ვერ აკმაყოფილებდა კონვენციის მოთხოვნებს. ამასთანავე, საქართველოს ხელისუფლების პოზიცია შეიძლება აიხსნას ამ ტერიტორიებზე კონტროლის არარსებობის დროებითი ხასიათით. საქართველოს ხელისუფლების პოზიციას, რომ თავი შეეკავებინა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების (რაც, რასაკვირველია, მოიცავს ევროპულ კონვენციასაც) მიმართ ტერიტორიული დათქმის/განცხადების გაკეთებისაგან, ნათელი მოეფინა საქართველოს პრეზიდენტის განცხადებაში, რომელშიც მან მიუთითა, ერთი მხრივ, იმ ფაქტზე, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამჟამად არ ძალუძს, განახორციელოს ეფექტიანი კონტროლი ამ ტერიტორიებზე და, მეორე მხრივ, აღნიშნა, რომ საქართველოს იურისდიქცია ამ ტერიტორიებზე მალე აღდგება. როგორც აღინიშნა, საქართველომ ტერიტორიული განცხადება გააკეთა 1-ლი, მე-12 და მე-13 ოქმების მიმართ, რომელთა რატიფიცირება მოხდა შესაბამისად – 2002 წლის 7 ივნისს, 2001 წლის 15 ივნისსა და 2003 წლის 24 აპრილს.

რთულია საქართველოს ხელისუფლების მიდგომაში ასეთი ცვლილების მიზეზთა დადგენა, რადგან ამ ტერიტორიების მიმართ კონტროლის არარსებობის მდგომარეობა იგივე რჩება. იმ ფაქტის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ იცოდა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომელმაც მოლდოვის ტერიტორიული განცხადება ბათილად გამოაცხადა,²⁶ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ 1-ლი, მე-12 და მე-13 ოქმების რატიფიცირების დროს გაკეთებული ტერიტორიული განცხადებები უფრო პოლიტიკური ხასიათისაა, ვიდრე სამართლებრივი. ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველა უნდა უზრუნველყოს უფლებებითა და თავისუფლებებით. ვინაიდან საქართველოს მთავრობა ვერ ახორციელებს ეფექტიან იურისდიქციას ზემოხსენებული ორი რეგიონის მიმართ, საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა ევროპული კონვენციის დარღვევისათვის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც სცილდება მის ფაქტობრივ კონტროლს, თუმცა ევროპულმა სასამართლომ ჯერ კიდევ ნათელი უნდა მოჰფინოს იმ მდგომარეობას, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა.

²⁴23 2001 წლის 4 ივლისი. 24 საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის განცხადება „ადამიანის უფლებათა დაცვა – ქართული სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტი“. ტექსტი ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ინტერნეტ-გვერდზე: [www.geopdo.org].

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ 1940-იან წლებში საქართველოდან ცენტრალურ აზიაში გადასახლებული მესხების საკითხი არ ეხება ამ თავში განხილულ საკითხებს, არ იქნებოდა მართებული ნაშრომში მისი უყურადღებოდ დატოვება, ვინაიდან საქართველომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე იკისრა ვალდებულება მესხ მოსახლეობასთან დაკავშირებით. აქ საკმარისია მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ევროპის საბჭოში გაწევრიანების დროს (1999 წელი) საქართველომ იკისრა ვალდებულება, ინტერ ალია: „გაწევრიანებიდან ორი წლის განმავლობაში მიიღოს სამართლებრივი ბაზა, რომელიც დაუშვებს საბჭოთა რეჟიმის მიერ დეპორტირებული მესხი მოსახლეობის რეპატრაციას და ინტეგრაციას, საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლების ჩათვლით; ამ სამართლებრივი ბაზის მიღებამდე მის შესახებ კონსულტაციები ჩაატაროს ევროპის საბჭოსთან; გაწევრიანებიდან სამი წლის განმავლობაში დაიწყოს რეპატრაციისა ეს დადასტურდა პარლამენტის წინაშე 1-ლი ოქმის წარდგენის დროს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მიერ საქმის – ილაშკუ და სხვები მოლდოვისა და რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (Ilaşcu and Others v. Moldova and the Russian Federation) – მოშველიების ფაქტით.

საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის ბრძანებულებით შეიქმნა სახელმწიფო კომისია სამხრეთ საქართველოდან დეპორტირებული მოსახლეობის რეპატრაციისა და რეაბილიტაციის შესახებ და მთავრობამ აიღო ვალდებულება, დაიწყოს რეპატრაციის პროცესი სამი წლის განმავლობაში. დღემდე არ არის მიღებული კანონმდებლობა, რომელიც უშვებს საქართველოში მესხი მოსახლეობის რეპატრაციას. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ღონისძიებები უკვე გატარდა ხელისუფლების მიერ, პრობლემა ჯერჯერობით მოუგვარებელია.

ზოგიერთი ქვეყნის ოკუპირებული ტერიტორიის საერთო სასამართლოების სისტემის შეჩერების შესაძლებლობას უშვებს მხოლოდ შემდეგი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში:

(1) თუკი მოსამართლეები და მაგისტრატი მოსამართლეები თავს იკავებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებისაგან;

(2) თუკი სასამართლოები კორუმპირებული და უკანონოდ დაფუძნებულია;

(3) თუკი ადგილობრივი სასამართლო სისტემა მოიშალა ოკუპაციამდე შეიარაღებული მოქმედებების პერიოდში და ოკუპანტი ვალდებულია შექმნას ახალი სასამართლო სისტემა ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებულ დარღვევებზე მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

ქვეყნის ტერიტორიის ნაწილობრივი ოკუპაციის შემთხვევაში, შესაძლოა ადგილობრივი კანონმდებლობა ითვალისწინებდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სასამართლოების გადაწყვეტილებების გასაჩივრებას სააპელაციო წესით ქვეყნის არაოკუპირებულ ნაწილში. ამ უფლების რეალიზებას, დიდი ალბათობით დააბრკოლებს ოკუპანტი ძალა. ამის

ასანაზღაურებლად ჟენევის მე-4 კონვენცია უშვებს ოკუპანტი ძალის მიერ სპეციალური სააპელაციო (და სამხედრო) სასამართლოების დაფუძნებას უმთავრესად ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რითაც გამოირიცხება ოკუპანტი ძალის მიერ საკუთარი სასამართლო სისტემის სააპელაციო იურისდიქციის გადმოტანა თავის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

ადგილობრივი სასამართლოების რატიონაჟ პერსონაჟ იურისდიქციასთან დაკავშირებით არსებობს ზოგადი წესი, რომ ეს სასამართლოები ვერ განიხილავენ ოკუპანტი ძალის სამხედრო დანაყოფების და ადმინისტრაციის წევრთა ქმედებების კანონიერებას.²⁸⁸ თუმცა იმდენად, რამდენადაც არც ჰააგის რეგულაციები და არც ჟენევის მე-4 კონვენცია ამ საკითხს პირდაპირ და მკაფიოდ არ აწესრიგებს, პრაქტიკაში ვხვდებით აღნიშნული ზოგადი წესიდან გადახვევის შემთხვევებსაც, ორ მსოფლიო ომამდელ პერიოდში ჰააგის რეგულაციების სულისკვეთებიდან გამომდინარე არსებობდა მოსაზრება რომ ოკუპანტი ძალის ქმედებების მართლზომიერების დადგენა, კერძოდ მოქმედებდა თუ არა ის სამხედრო აუცილებლობის პრინციპით თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თავად ოკუპანტის უფლებამოსილებაა და არამც და არამც არ შეიძლება ამის ადგილობრივი ტრიბუნალებისათვის გადაცემა.

ბელგიის საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ოკუპირებული ტერიტორიის სასამართლოების მიერ ოკუპანტის მიერ სავარაუდო დარღვევის ფაქტების განხილვა ადგილობრივი სასამართლოების მხრიდან ულტრა ვირეს ქმედება იქნებოდა. აღნიშნული მიდგომის საპირისპიროდ, მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ოკუპაციის პერიოდში ადგილობრივი სასამართლოები ხანდახან უარს ამბობდნენ ოკუპანტი ძალის მიერ მიღებული კანონების გამოყენებაზე რითაც ერთის მხრივ ხაზს უსვამდნენ ოკუპანტის მიერ განხორციელებული კანონშემოქმედებითი საქმიანობის უკანონო ხასიათს, ხოლო მეორეს მხრივ საკუთარ უფლებამოსილებას - განეხილა ოკუპანტის ქმედებების კანონიერება. მაგ. ნორვეგიის საოლქო სასამართლომ განაცხადა რომ ოკუპანტის მიერ შეცვლილი კანონმდებლობა არ იყო შესრულებადი, ის არ გამოიყენებდა მოდიფიცირებულ კანონს, რადგან ეს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ჰააგის 43-ე რეგულაციას. ასევე საბერძნეთის საკასაციო სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია გერმანიის საოკუპაციო ადმინისტრაციის მიერ ზოგიერთი ტრიბუნალის შექმნა, რაც ეწინააღმდეგებოდა ჰააგის 43-ე რეგულაციას და უკანონო იყო. კრეტის სისხლის სამართლის სასამართლომ კი პირდაპირ განაცხადა რომ ოკუპანტი ძალის მიერ ოკუპაციის სამართლით დადგენილი ზღვარის გადაბიჯების შეფასება სწორედ თავისი [სასამართლოს] კომპეტენცია იყო. უშუალოდ ოკუპაციის პერიოდისაგან განსხვავებით, პოსტ-ოკუპაციის დროს ადგილობრივი სასამართლოები უფრო თავისუფლად განიხილავდნენ ოკუპანტი ძალის ქმედებების კანონიერებას. პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც ოკუპანტის კონკრეტული აქტები გააუქმა გათავისუფლებული ქვეყნის სასამართლომ, ასევე გხვდება სიტუაციები,

როდესაც სასამართლომ ნამდვილად მიიჩნია ოკუპანტის ქმედება, რადგან დაადგინა რომ ის მოქმედებდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

საინტერესოა, ქვეყნის ნაწილობრივი ოკუპაციისას, არაოკუპირებული ტერიტორიის ადგილობრივი სასამართლოების მიერ ოკუპანტი ძალის მიერ განხორციელებული ქმედებების სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობა. იმდენად რამდენადაც ეს სასამართლოები მოქმედებენ ოკუპირებული ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე და ამ ქვეყნის სუვერენი ინარჩუნებს მმართველობას არაოკუპირებულ ტერიტორიაზე, სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპით ცალსახაა, რომ ქვეყნის არაოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სასამართლოები უფლებამოსილი იქნება ოკუპანტი ძალის ქმედებები შეაფასოს, როგორც ადგილობრივი კანონების, ასევე საერთაშორისო სამართლის მიხედვით. მეორე საკითხია რამდენად შეიძლება ასეთი გადაწყვეტილებები აღსრულდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე და ექნება თუ არა საერთაშორისო აღიარება ამგვარ გადაწყვეტილებებს. ამ მხრივ საინტერესო შემთხვევა მოხდა კვიპროსში, რომლის საოლქო (და შემდგომში უზენესმა) სასამართლომ გააუქმა ჩრდილოეთ კვიპროსის დეფაქტო ხელისუფლების (რომელიც იგივედგება საოკუპაციო ძალის მარიონეტულ რეჟიმად) ნასყიდობის ხელშეკრულება ბრიტანელ წყვილთან, რომელთაც ამ კონტრაქტის საფუძველზე შეიძინეს მიწა კუნძულის ოკუპირებულ ჩრდილოეთ ნაწილში და იქ ააშენეს სახლი.

ამ გადაწყვეტილების ნამდვილობის და აღსრულებადობის საკითხი საბოლოოდ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განსჯადი გახდა, რომელმაც საქმის წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურით განხილვისას განაცხადა რომ სამხრეთ კვიპროსის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელიც ეხება ჩრდილოეთ ნაწილში მომხდარ სამართლებრივ ურთიერთობებს, სადაც ევროკავშირის სამართალი დეფაქტო არ ვრცელდება, აღსრულებადია ევროკავშირის სხვა ქვეყნების (ამ შემთხვევაში დიდი ბრიტანეთის) სასამართლოების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ აპოსტოლიდესი ორამების წინააღმდეგ საქმის ამგვარი შედეგი მხოლოდ ევროკავშირის სამართლის და არა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე დადგა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მინიმუმ ევროკავშირის მასშტაბით, რადგან კვიპროსის ოკუპირებულ ნაწილში საოკუპაციო ძალასთან დადებული ნებისმიერი საინვესტიციო კონტრაქტი შესაძლოა გაუქმდეს კვიპროსის რესპუბლიკის სასამართლოების მიერ და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ექნებათ ვალდებულება სცნონ ეს გადაწყვეტილებები, თუნდაც ამ საინვესტიციო დავის მონაწილეები მათი მოქალაქეები იყვნენ. ჩრდილოეთ კვიპროსზე მოქმედ სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით საინტერესო პრეცედენტი იყო ასევე დემოკრატისის საქმე, რომელიც განიხილა ადამიანის უფლებათა

ევროპულმა სასამართლომ და დაუშვებლად გამოაცხადა, რადგან ამოწურული არ იყო უფლების დაცვის ყველა შიდა სამართლებრივი გზა.²⁵

ამგვარ გზად კი სასამართლომ მიუთითა საოკუპაციო ძალის მიერ შექმნილი კომპენსაციის კომისია (ერთგვარი სასამართლო ორგანო), რომლის კანონიერებასაც კვიპროსი არ აღიარებს, რადგან ის დაფუძნებულია უკანონო ოკუპაციის შედეგად. მართალია სასამართლოს უშუალოდ არ უმსჯელია კომპენსაციის კომისია, როგორც მართლმსაჯულების ორგანო კანონიერია თუ არა ოკუპაციის სამართლის მნიშვნელობით, მაგრამ მან არაპირდაპირ აღიარა ამ კვაზისასამართლო ორგანოს გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობა, როცა მიიჩნია ის “უფლების დაცვის შიდა სამართლებრივ მექანიზმად”. აღნიშნული მიდგომა წინააღმდეგობრივი ხასიათისაა განსაკუთრებით ისეთ ნაწილობრივი ოკუპაციის დროს, როდესაც ლეგიტიმური სუვერენი ოკუპანტის ყველა ქმედებას იპსო ფაქტო უკანონოდ მიიჩნევს და საერთაშორისო არენაზეც ოკუპანტის ნებისმიერი ქმედება კარგავს ლეგიტიმაციას. მაგალითად როგორცაა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ან მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში.

გარდა ადგილობრივი სასამართლოებისა, რომლებმაც, ზოგადი წესის მიხედვით, ჩვეულებრივად უნდა გააგრძელოს ფუნქციონირება, ოკუპანტი ძალა უფლებამოსილია დაკავებულ ტერიტორიაზე შექმნას სამხედრო საოკუპაციო სასამართლოები რომელთაც შეეძლება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საოკუპაციო ძალების ან ადმინისტრაციის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების განხილვა. ამ სასამართლოების იურისდიქცია გავრცელდება საოკუპაციო ჯარისა და ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ქმედებაზე, ასევე ომის სამართლის წესებისა და ჩვეულებების სავარაუდო დარღვევებზე, ხოლო ადგილობრივი სასამართლოების განსჯადი დარჩება დავები, რომელიც წარმოიშობა ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას შორის სამოქალაქო ან ქონებრივ ურთიერთობებში.

ომის დანაშაულების განხილვა შეიძლება შევიდეს ამ საოკუპაციო სასამართლოების იურისდიქციაში ან ადგილობრივი სასამართლოების განსჯადი დარჩეს, შესაბამისად ოკუპანტს ეძლევა მოქმედების თავისუფლება თუ რომელ იურისდიქციას დაუქვემდებარებს ომის დანაშაულების განხილვას.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო საოკუპაციო სასამართლოს უნდა ჰქონდეს ის დამახასიათებელი ნიშნები, რაც საჭიროა ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის (დამოუკიდებლობა, მიუკერძოებობა, სამართლებრივი საფუძველი, აპოლიტიკურობა) და ამითი განსხვავდება ის სტატუსის განმსაზღვრელი კომპეტენტური ტრიბუნალისაგან, რომელიც იქმნება ჟენევის მე-3 კონვენციის საფუძველზე.

²⁵ ს. ფიფია. სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები, თბ. 2016 გვ. 102

ასევე დასაშვებია ცალკე ტრიბუნალის შექმნა, რომელიც განიხილავს საოკუპაციო ჯარის წევრების მიერ შესაძლო დანაშაულის ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევებს. ამგვარი სპეციალური ტრიბუნალის შექმნას ითვალისწინებს ზოგიერთი ქვეყნა. თუმცა საოკუპაციო ჯარის წევრების გადაცდომებს შეიძლება განიხილავდეს ოკუპანტი ქვეყნის ეროვნული სასამართლოებიც ან საომარი ტრიბუნალები.³⁰⁶ ოკუპანტი ძალის ქმედებების კანონიერებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, უმეტეს შემთხვევაში არ განიხილავს ოკუპირებული ქვეყნის ადგილობრივი სასამართლო, არამედ თავად ოკუპანტი ქვეყნის სასამართლო. ისრაელის პრაქტიკიდან გამომდინარე, სამხედრო მეთაურობის ქმედებების და სამართლებრივი აქტების კანონიერების დადგენა შეუძლია უზენაეს სასამართლოს, რომელიც ამგვარი დავების განხილვისას წარმოდგენილია მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სახით და განხილვაც სპეციალური პროცედურით მიმდინარეობს. ამ სასამართლოს წინაშე მომჩივანი შეიძლება იყოს ოკუპირებული ტერიტორიის დაცული მოსახლეობა და ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს გაუუქმებია სამხედრო მეთაურობის ბრძანებები ან დაუვალეობა დაგეგმილი მისაღები ზომების შეცვლა. აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს შეფასებით, თავისი უფლებამოსილება რომ განიხილოს საოკუპაციო მთავრობის ქმედებების კანონიერება, მომდინარეობს ისრაელის კანონმდებლობიდან და არაა დამოკიდებული სამხედრო მთავრობის ნებართვაზე.³⁰⁸

ისრაელის პრაქტიკიდან ასევე საინტერესოა ეროვნული სასამართლოების იურისდიქციის გავრცელება ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროში მცხოვრებ ისრაელის მოქალაქეებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებზე.

თავდაპირველად ისრაელის ეროვნულ სასამართლოებს ჰქონდათ მცდელობა პერსონალობის საფუძველზე საკუთარი განსჯადობის ქვეშ მოექცია სამოქალაქო დავები, რომელშიც ორივე მხარე დასავლეთ სანაპიროში მცხოვრები ისრაელის მოქალაქე იყო, თუმცა მოგვიანებით ეროვნულმა სასამართლოებმა ასევე მოიცვა საქმეები, რომელშიც ერთი მხარე ისრაელის მოქალაქე იყო, ხოლო მეორე კი ოკუპაციის სამართლით დაცული პირი.

ისრაელის საერთო სასამართლოების იურისდიქციის გავრცელება ოკუპირებულ დასავლეთ სანაპიროზე ამ დრომდე სამართლებრივი დავის საგანი პირდაპირ არ გამხდარა, მაგრამ ისრაელის უზენაეს სასამართლოს (როგორც მართლმსაჯულების უმაღლეს სასამართლოს) მაინც მოუწია ამ საკითხზე მსჯელობა და საერთო სასამართლოების განსჯადობის გავრცელება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიჩნია კანონიერად საერთაშორისო სამართლის მიხედვით. სასამართლო დაეყრდნო ზოგად საერთაშორისო სამართალში არსებულ სახელმწიფოთა უფლებას რომ გამოიყენონ ექსტრატერიტორიული იურისდიქციის პრინციპი. სასამართლოს აზრით, ამგვარი იურისდიქციის გავრცელება არ ლახავს სხვა ქვეყნის

სუვერენიტეტს, რადგან იურისდიქცია ვრცელდება ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც არაა ისრაელის ნაწილი მაგრამ ადმინისტრირდება ისრაელის მიერ.

ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ: ფაქტობრივად ისრაელი ახორციელებს [ოკუპირებულ] ტერიტორიებზე სუვერენის შეჩერებულ ძალაუფლებას საერთაშორისო სამართლის წესებით დადგენილი ოკუპაციის სამართლის საფუძველზე. ისრაელის სასამართლო მხოლოდ თეორიულად მოქმედებს სხვა სუვერენის ტერიტორიაზე. რეალურად, იმდენად რამდენადაც ეს ტერიტორია დაკავებული აქვს IDF-ს, ხელისუფლებაც ისრაელის ხელშია და ამიტომ არაა საფრთხე იმისა რომ სხვა ძალის მმართველობაში ხდება ჩარევა.

ოკუპირებული ტერიტორიების სასამართლო სისტემის ადმინისტრირებისას მთავარი პრინციპია რომ არ დარჩეს რაიმე ღია ხვრელი, რომლის მეშვეობითაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამართლებრივი დავა არ გადაწყდება სასამართლო ორგანოების მიერ. ზოგადი წესის მიხედვით, ადგილობრივი სასამართლოები აგრძელებენ მოქმედებას, ოკუპანტი კი დამატებით აფუძნებს სამხედრო სასამართლოებს სპეციფიკური რატიონე მატერიალური იურისდიქციით, ოკუპანტი ძალის ქმედებების კანონიერების განხილვა კი შეიძლება მოხდეს როგორც ადგილობრივი სასამართლოების, ისე ოკუპანტის ეროვნული მართლმსაჯულების სისტემის ან საერთაშორისო ტრიბუნალების მიერ.²⁶

²⁶ს. ფიფია. სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები, თბ. 2016 გვ. 104-105

თავი III. იურისდიქციის ფარგლები (Ratione Loci)

3.1. იურისდიქციის ფარგლები - პრეცედენტული გადაწყვეტილების მაგალითები

სახელმწიფო პასუხისმგებელია მხოლოდ იმ სამართალდარღვევაზე, რომელიც ჩადენილია თავისი იურისდიქციის ფარგლებში. სახელმწიფოს იურისდიქციაში იგულისხმება, პირველ რიგში, მისი ტერიტორია – სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცე. სხვა ქვეყნებში – მისი საელჩოები და ამ სახელმწიფოს დროშით მცურავი ხომალდები. ის გარემოება, რომ კონვენციის მოქმედება ვრცელდება ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე, არ გულისხმობს, რომ სახელმწიფო იცილებს პასუხისმგებლობას მისი წარმომადგენლების მოქმედებებზე, რომლებიც ჩადენილია შესაბამისი სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ. იგი პასუხისმგებელია როგორც მის ტერიტორიაზე, ისე სხვა ქვეყნებში მისი წარმომადგენლების მიერ ჩადენილი მოქმედებებისათვის. კომისიამ საქმეში – *X. v. Federal Republic of Germany* – მიუთითა, რომ მაროკოში გერმანიის საელჩოს მუშაკთა მოქმედება პირდაპირ იწვევდა გერმანიის პასუხისმგებლობას. ასეთივე გადაწყვეტილებაა გამოტანილი საქმეზე – *Cyprus v. Turkey*, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მის მიერ უფლებამოსილი პირების, მათ შორის, დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლების, ისევე როგორც შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ქმედებების გამო. ეს წარმომადგენლები საზღვარგარეთ ყოფნისას იმყოფებიან სახელმწიფოს იურისდიქციაში. ასევე, ავრცელებენ სახელმწიფო იურისდიქციას პირებსა და საკუთრებაზე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ახორციელებენ ისინი ამ პირებისა და საკუთრების კონტროლს. საქმეში – *V. v. Denmark* – ევროპის ადამიანის უფლებათა კომისიამ დაადგინა, რომ ინდივიდუალური პირის გაძევება საელჩოდან არ წარმოადგენდა მე-4 ოქმის მე-3 მუხლის დარღვევას, რადგან საელჩო არ ჩაითვალა „ტერიტორიად“ აღნიშნული მუხლის მნიშვნელობით. თუმცა, დაადგინეს, რომ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლის მიერ ვიზის გაცემაზე უარის თქმა შედის შესაბამისი სახელმწიფოს იურისდიქციაში²⁷. საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, პირველ რიგში, შედის მისი ტერიტორია, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ და რომელზეც იგი

²⁷ P. van Dijk, GJH. van Hoof, “Theory and Practice of the European Convention on Human Rights”, Kluwer law International, 1997. 2 X v. Federal Republic of Germany, Yearbook VIII (1965), gv.158. 3 Amerkane v. U.K.

ახორციელებს ეფექტიან კონტროლს.²⁸ საქმე- ში _ *Bankovic and others* ნატოს წევრ-ქვეყნების წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდმა პალატამ იმსჯელა იმასთან დაკავშირებით, შედიოდა თუ არა მოპასუხე მთავრობების იურისდიქციაში ნატოს წევრ-ქვეყნების (რომლებიც ამავე დროს ევროპის საბჭოს და ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის ხელშემკვერელი მხარეები არიან) განმცხადებელთა მიერ წამოყენებული პრეტენზიები. ისინი ასაჩივრებდნენ იუგოსლავიის კონფლიქტის დროს ნატოს საჰაერო ძალების მიერ ბელგრადზე განხორციელებული საჰაერო თავდასხმის შედეგად თავიანთი ოჯახის წევრების დაღუპვის ფაქტს. ევროპის სასამართლომ, რომელმაც იმსჯელა ამ საკითხზე, აღნიშნა, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის 1-ლი მუხლით განსაზღვრული ტერმინი „იურისდიქციის ფარგლები“, პირველ რიგში, (გულისხმობს რა სახელმწიფოს ტერიტორიას) არ ვრცელდება წევრ-სახელმწიფოს ან მისი წარმომადგენლების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებულ ყოველ მოქმედებაზე. სასამართლო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში აკისრებს შესაბამის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას იმ მოქმედებების გამო, რომლებიც ჩაიდინეს მისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ მისივე წარმომადგენლებმა. სხვა საქმეებისაგან განსხვავებით, რომლებშიც სასამართლომ პასუხისმგებლობა დააკისრა კონკრეტულ სახელმწიფოებს მათი წარმომადგენლების მიერ სახელმწიფო ტერიტორიის გარეთ ჩადენილი მოქმედებებისათვის, სასამართლომ აღნიშნა, რომ, პირველ რიგში, მოპასუხე სახელმწიფოები მხოლოდ საჰაერო კონტროლით ვერ ახორციელებდნენ ეფექტურ კონტროლს მოცემულ ტერიტორიაზე და კონკრეტულ შემთხვევაში; კონვენცია კი მხოლოდ მაშინ აკისრებს კონკრეტულ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობას, როდესაც მათი წარმომადგენლები უცხოეთის ტერიტორიაზე ან კონკრეტულ ვითარებაზე ახორციელებენ ეფექტიან კონტროლს.

ჟენევის 1949 წლის კონვენციის 1-ლი მუხლისაგან განსხვავებით, ევროპის კონვენციის 1-ლ მუხლში განსაზღვრული ტერმინი „იურისდიქციის ფარგლებში“ არ გულისხმობს პასუხისმგებლობას სახელმწიფოების წარმომადგენლების მიერ სახელმწიფოების ტერიტორიის გარეთ განხორციელებული ყოველი მოქმედებისათვის; ჩრდილოეთ კვიპროსში არსებული ვითარებისაგან განსხვავებით, *Bankovic and others*-ის საქმეში არ არსებობდა ადამიანის უფლებათა დაცვის ვაკუუმის საშიშროება, რადგან კვიპროსის საქმეში სრულიად განსხვავებული ვითარება იყო და არსებობდა იმის რეალური საფრთხე, რომ ჩრდილოეთ კვიპროსში მცხოვრები ადამიანები ვეღარ ისარგებლებდნენ ევროპის კონვენციით გარანტირებული უფლებების დაცვით. ამ უფლებებით ისინი სარგებლობდნენ თურქეთის

²⁸ Vlastimir and Borica BANKOVIC, Zivana STOJANOVIC, Mirjana STOIMENOVSKI, Dragana JOKSIMOVIC and Dragan SUKOVIC v. Belgium, the Czech Republic, Denmark, France, Germany, Greece, Hungary, Iceland, Italy, Luxembourg, the Netherlands, Norway, Poland, Portugal, Spain, Turkey and the United Kingdom.

საჯარისო ფორმირებების მიერ ჩრდილოეთ კვიპროსში ეფექტიანი კონტროლის განხორციელებამდე, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ კვიპროსის მთავრობამ, როგორც ხელშემკვრელმა მხარემ, ვერ შეძლო კონვენციის შესაბამისად აღებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულება.

„*Bankovic*-ის საქმისაგან განსხვავებით, სხვა გადაწყვეტილება გამოიტანა ევროპის სასამართლომ ცნობილ საქმეზე – *Ocalan v. Turkey*. აღნიშნულ საქმეში განმცხადებელი, რომელიც მალულად შევიდა კენიის სახელმწიფოს ტერიტორიაზე და იმყოფებოდა საბერძნეთის საელჩოს ტერიტორიაზე, მოტყუებით გადაიყვანეს ნაირობის აეროპორტში და გადასცეს თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს. იგი თურქეთის უშიშროების ძალების წარმომადგენლებმა ნაირობის აეროპორტის საერთაშორისო ზონაში მყოფი თვითმფრინავის ბორტზე დააპატიმრეს.

ევროპის სასამართლომ დაადგინა, რომ მას შემდეგ, რაც კენიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განმცხადებელი თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცეს, მას ეფექტიანად აკონტროლებდნენ თურქეთის უშიშროების ძალების წარმომადგენლები და, შესაბამისად, იგი, კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, ამ ქვეყნის „იურისდიქციაში“ მოექცა მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ძალაუფლებას თავისი ტერიტორიული ფარგლების გარეთ ახორციელებდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ოჯალანის საქმეში არსებული გარემოებები უმთავრესად განსხვავდებოდა *Bankovic*-ის საქმისაგან იმით, რომ განმცხადებელი, რომელიც თვით თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აიძულეს, დაბრუნებულიყო თურქეთში, სრულად ექვემდებარებოდა აღნიშნული წარმომადგენლების კონტროლსა და ძალაუფლებას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ეს იყო სწორედ ზემოხსენებული გამონაკლისი, როდესაც, მართალია, მოქმედება განხორციელდა შესაბამისი სახელმწიფოს ტერიტორიული ფარგლების გარეთ, მაგრამ პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდა სწორედ აღნიშნულ სახელმწიფოს, რადგან მისი წარმომადგენლები ახორციელებდნენ ძალაუფლებასა და ეფექტიან კონტროლს კონკრეტულ ვითარებაში კონკრეტულ პირთან მიმართებაში.

აღნიშნული გამონაკლისი შემთხვევების არსებობა დაადგინა სასამართლომ მთელ რიგ საქმეებში, როდესაც, მართალია, კონკრეტული ტერიტორია *de jure* წარმოადგენს შესაბამისი სახელმწიფოს ნაწილს, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლება *de facto* ვერ ახორციელებს ამ ტერიტორიის ეფექტიან კონტროლს. აღნიშნულ საკითხზე რამდენიმე მეტად საინტერესო საქმეა განხილული ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. საქმე – *Loizidou v. Turkey*, რომელმაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობის თვალსაზრისით სერიოზული პრეცედენტი შექმნა, ერთ-ერთი პირველი იყო, სადაც სასამართლომ ასეთი გამონაკლისის არსებობა დაადგინა. სასამართლომ თურქეთს დააკისრა პასუხისმგებლობა ჩრდილოეთ კვიპროსში

განხორციელებული მოქმედებისათვის იმიტომ, რომ სამხედრო ოპერაციის შედეგად⁷ (მნიშვნელობა არა აქვს, ეს ოპერაცია კანონიერი იყო თუ უკანონო) იგი ეფექტიან კონტროლს ახორციელებდა ჩრდილოეთ კვიპროსის ტერიტორიაზე. პასუხისმგებლობა – უზრუნველყო ამ ტერიტორიაზე კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა – სახელმწიფოს დაეკისრებოდა ნებისმიერ შემთხვევაში, თუ კონტროლს განახორციელებდნენ მისი შეიარაღებული ძალები ან მისდამი დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაცია.

Ratione Loci-ზე საუბრისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ევროპის სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი პირველი განაჩენი საქმეზე – *Assanidze v. Georgia*. აღნიშნულ საქმეში, სხვა საკითხებთან ერთად, სასამართლოს უნდა ემსჯელა იმაზეც, ეკისრებოდა თუ არა პასუხისმგებლობა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას იმის გამო, რომ, მიუხედავად მის მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა და არაერთი ცდისა – პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა განმცხადებელი (პრეზიდენტის 1998 წლის 1 ოქტომბრის შეწყალება, თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება, უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 11 ივლისისა და 2001 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც განმცხადებელი დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებულიყო), მას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლება მაინც პატიმრობაში ტოვებდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს დიდმა პალატამ განაცხადა: კონვენციის 1-ლი მუხლი მოითხოვს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში ყველასათვის უზრუნველყონ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები“. აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, წევრი სახელმწიფოები პასუხს აგებენ ნებისმიერი პირის დაცული უფლებებისა და თავისუფლებების ნებისმიერ დარღვევაზე მათი „იურისდიქციის“ ან კომპეტენციის ფარგლებში, დარღვევის ჩადენის დროს.

კონკრეტულ გამონაკლის შემთხვევაში იურისდიქცია მოიაზრება ისეთი არატერიტორიული ფაქტორების საფუძველზე, როგორცაა: საჯარო ხელისუფლების ორგანოების მოქმედებები, რომლებსაც ახორციელებენ საზღვარგარეთ სახელმწიფოს დიპლომატიური თუ საკონსულო წარმომადგენლები; პირთა დანაშაულებრივი მოქმედებები, რომლებიც ჩადენილია საზღვარგარეთ სახელმწიფოს ინტერესების ან მისი მოქალაქეების საწინააღმდეგოდ; მოქმედებები, რომლებიც ჩადენილია სახელმწიფო დროშით მფრინავი ხომალდის ბორტზე ან თვითმფრინავში, ან კოსმოსურ ხომალდზე, რომელიც იქ არის რეგისტრირებული, და განსაკუთრებით სერიოზული საერთაშორისო დანაშაულები (საყოველთაო იურისდიქცია). თუმცა, როგორც ზოგადი წესი, ცნება „@იურისდიქცია“ კონვენციის 1-ლი მუხლის

მნიშვნელობით, უნდა განიხილებოდეს, როგორც საერთაშორისო საჯარო სამართლის პოზიციის ამსახველი²⁹

აღნიშნული ცნება „უწინარესად“ თუ არსებითად“ წარმოადგენს ტერიტორიულს (ზემოხსენებული Bankovich-ის საქმე). სახელმწიფოს ტერიტორიასთან ერთად, ტერიტორიული იურისდიქცია ვრცელდება ნებისმიერ იმ არეალზე, რომელსაც სავარაუდო დარღვევის ჩადენის დროს შესაბამისი სახელმწიფო „სრულად აკონტროლებდა“ [Loizidou v. Turkey (პირველადი პრეტენზიები), 1995 წლის 23 მარტის განაჩენი, სერია A N310], აშკარად ოკუპირებულ ტერიტორიებზე (Cyprus v. Turkey [GC], N25781/94, ECHR-2001-IV), იმ ტერიტორიების გამოკლებით, რომლებიც ხვდება ასეთი კონტროლის მიღმა (იხ. ზემოაღნიშნული Bankovich-ის საქმე).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა უდავოდ წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება მის კომპეტენციასა და კონტროლს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს კომპეტენციის პრეზუმფცია. ახლა სასამართლომ უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა საფუძვლიანი მტკიცებულება, რომ გაქარწყლდეს ეს პრეზუმფცია. ამასთან დაკავშირებით სასამართლო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ საქართველომ კონვენციის რატიფიცირება მთელი მისი ტერიტორიის სახელით მოახდინა. გარდა ამისა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას არ გააჩნია სეპარატისტული მისწრაფებები და არც ერთი სხვა სახელმწიფო არ ახორციელებს იქ ეფექტიან სრულ კონტროლს (იხ. საპირისპირო კონტექსტში Ilascu, Lesco, Ivantoc and Petrov-Popa v. Moldova and the Russian Federation [GC], N48787/99, 2001 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება და ზემოაღნიშნული საქმე _ Loizidou v. Turkey (პირველადი პრეტენზიები).

კონვენციის რატიფიცირებისას საქართველოს არ გაუკეთებია რამე კონკრეტული დათქმა კონვენციის 57-ე მუხლის შესაბამისად აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ან ამ ტერიტორიაზე საკუთარი იურისდიქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ სიმძნელებთან მიმართებაში. ასეთი დათქმა, ნებისმიერ შემთხვევაში, არაეფექტიანი იქნებოდა, რადგან პრეცედენტული სამართალი გამორიცხავს ტერიტორიულ გამონაკლისებს (Matthews v. the United Kingdom [GC], N24833/94, ECHR 1999-I, პუნქტი 29), გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მითითებულია კონვენციის 56-ე მუხლის 1-ლ პუნქტში (დამოკიდებული ტერიტორიები).

ამერიკის 1969 წლის 22 ნოემბრის ადამიანის უფლებათა კონვენციისაგან (28-ე მუხლი) განსხვავებით, ევროპის კონვენცია არ შეიცავს „ფედერალურ მუხლს“, რომელიც ზღუდავს

²⁹ (Gentilhomme and Others v. France, N48205/99, N48207/99 და 48209/ 99, პუნქტი 20, 2002 წლის 14 მაისი; Bankovic and Others v. Belgium and 16 Other Contracting States (dec.) [GC], N52207/99, პუნქტები 59-61, ECHR 2001-XII).

ფედერალური სახელმწიფოს ვალდებულებებს იმ შემთხვევებთან მიმართებით, როდესაც ესა თუ ის ფაქტი ხდება ტერიტორიაზე, რომელიც ფედერაციის ნაწილს შეადგენს.

გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო არ არის ფედერალური სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არ არის ფედერაციის ნაწილი. იგი წარმოადგენს ერთეულს, რომელიც, სხვა ერთეულების მსგავსად (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და, 1991 წლამდე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონი), უნდა ფლობდეს ავტონომიის სტატუსს (იხ. წინამდებარე განაჩენის პუნქტები 108-110), რაც სულ სხვა შემთხვევაა. გარდა ამისა, მაშინაც კი, თუ ნაგულისხმები ფედერალური მუხლი, რომელსაც ამერიკის კონვენციის 28-ე მუხლის ანალოგიური შინაარსი აქვს, იარსებებდა ევროპის კონვენციაშიც (რაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია), იგი არ შეიძლება აგებული ყოფილიყო იმგვარად, რომ ფედერალური სახელმწიფო სრული პასუხისმგებლობისაგან გაეთავისუფლებინა – ეს მუხლი ფედერალური სახელმწიფოსაგან მოითხოვს, დაუყოვნებლივ მიიღოს შესაბამისი ღონისძიებები კონსტიტუციის შესაბამისად...³⁰იმისათვის, რათა [სახელმწიფოებმა, რომლებიც შეადგენენ ფედერაციის ნაწილს], შეძლონ შესაბამისი დებულებების მიღება კონვენციის განხორციელების მიზნით“. აქედან გამომდინარე, 139-ე პუნქტში მითითებული პრეზუმფცია სწორია.

მართლაც, სამართლებრივი პოლიტიკის მოტივებიდან გამომდინარე, წევრ-სახელმწიფოებს შორის თანასწორობის შენარჩუნების საჭიროება და კონვენციის ეფექტიანობის უზრუნველყოფა სხვაგვარად არც იყო შესაძლებელი. მაგრამ პრეზუმფციისათვის კონვენციის გამოყენება შეიძლებოდა არჩევანისამებრ შეზღუდულიყო მხოლოდ კონკრეტული წევრ-სახელმწიფოების ტერიტორიის ნაწილებში და ამით ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიანობის ცნებას, რომელიც კონვენციის დასაყრდენს წარმოადგენს, წარმოაჩენდა როგორც უმნიშვნელოს. ამავე დროს, წარმოშობდა დისკრიმინაციის შესაძლებლობას წევრ-სახელმწიფოებს შორის, ანუ იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც აღიარეს ან არ აღიარეს კონვენციის გამოყენება საკუთარ მთელ ტერიტორიაზე. ამიტომაც სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე ფაქტები, რომელთა თანახმადაც ხდება კონვენციის დარღვევის მტკიცება, შედის საქართველოს სახელმწიფოს „იურისდიქციაში“³¹.

მიუხედავად საქართველოში სახელმწიფო მექანიზმის არაჯეროვანი ფუნქციონირებისა და სპეციალური სტატუსის მქონე ტერიტორიების არსებობისა, კანონმდებლობის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ექვემდებარება საქართველოს სახელმწიფოს კონტროლს.

³⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი თბ., 2004, გვ.53

³¹ Bertrand Russell Peace Foundation Ltd v. the United Kingdom, კომისიის 1978 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და მოხსენებები (DR) 14, გვ. 117 და 124] კონვენციის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით.

ურთიერთობა, რომელიც არსებობს აჭარის ადგილობრივ ხელისუფლებასა და ცენტრალურ მთავრობას შორის, იმგვარია, რომ მხოლოდ ამ უკანასკნელის მიერ დაკისრებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობას შეუძლია გამოიწვიოს კონვენციის დებულებათა განგრძობადი დარღვევის შესაძლებლობა ადგილობრივ დონეზე.

კონვენციის 1-ლი მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოსათვის დაკისრებული ზოგადი ვალდებულება მოიცავს და მოითხოვს ეროვნული სამართლებრივი სისტემის იმპლემენტაციას, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყველასათვის უზრუნველყოს კონვენციასთან შესაბამისობა. ეს დადასტურებულია იმით, რომ, პირველ რიგში, 1-ლი მუხლი არ გამორიცხავს კონვენციის მოქმედების სფეროდან წევრ-სახელმწიფოების იურისდიქციის“ რაიმე ნაწილს. და კიდევ, სწორედ მათ იურისდიქციას უკავშირდება მთლიანობაში (რომელიც ხშირად კონსტიტუციის საშუალებით ხორციელდება), რომ წევრ-სახელმწიფოები მოწოდებული არიან, გამოავლინონ კონვენციასთან შესაბამისობა (*United Communist Party of Turkey and Others v. Turkey*, 1998 წლის 30 იანვრის განაჩენი, მოხსენებები 1998-I, გვ. 17-18, პუნქტი 29). ტერიტორიული ერთეულის ხელისუფლების ორგანოები წარმოადგენენ საჯარო სამართლის დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დაკისრებულ ფუნქციებს. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო იმეორებს, რომ საერთაშორისო სამართალში გამოთქმა „სამთავრობო ორგანიზაცია“ არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ იგი მიუთითებს მხოლოდ სახელმწიფოს მთავრობაზე ან ცენტრალურ ორგანოებზე. როდესაც ძალაუფლება გადანაწილებულია დეცენტრალიზებული ხაზით, იგი მიუთითებს ხელისუფლების ნებისმიერ ეროვნულ ორგანოზე, რომელიც ახორციელებს საჯარო ფუნქციებს. შესაბამისად, ხელისუფლების ასეთ ორგანოებს არ შეუძლიათ, მიმართონ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად [*Section de commune d'Antilly v. France* (dec.), ¹ 45129/98, ECHR 1999-VIII; და *Ayuntamiento de Mula v. Spain*, (dec.), ¹ 55346/00, ECHR 2001-I].

აღნიშნული პრინციპები გვიჩვენებს, რომ წინამდებარე საქმეში აჭარის რეგიონალური ხელისუფლების ორგანოები არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია ან საერთო ინტერესების მქონე პირთა ჯგუფი – კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებისათვის. შესაბამისად, მათ არა აქვთ უფლება, განაცხადი შეიტანონ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ან განაცხადონ საჩივარი სტრასბურგის სასამართლოს წინაშე საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ.

აქედან გამომდინარე, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოს იერარქიით უფრო მაღალ დონეზე მდგომი ხელისუფლების ორგანოები მკაცრად პასუხისმგებელი არიან თავიანთ დაქვემდებარებაში მყოფი ორგანოების მოქმედებებზე (იხ.

ზემოაღნიშნული საქმე _ Ireland v. the United Kingdom, გვ. 64, პუნქტი 159). პასუხისმგებლობა მხოლოდ და მხოლოდ ეკისრება თავად საქართველოს სახელმწიფოს – და არა ხელისუფლების ეროვნულ ორგანოს ან უწყებას – იმ საქმის თანახმად, რომელიც წარმოდგენილია სასამართლოს წინაშე. სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის ხელისუფლების ეროვნული ორგანოებისა თუ სასამართლოების მრავალფეროვნების განხილვა, უწყებათა შორის წამოჭრილ დავებსა თუ შიდა პოლიტიკასთან დაკავშირებით მსჯელობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე ფაქტები, რომლებმაც წარმოშვა სავარაუდო დარღვევა, შედის საქართველოს „იურისდიქცია-ში“ კონვენციის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხები, ეროვნული სამართლებრივი სისტემის თანახმად, პირდაპირ ეხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კონვენციის მიხედვით მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი დადგება“.³²

იურისდიქციის საკითხთან დაკავშირებით, ქართველი იურისტებისათვის ასევე ძალიან საინტერესო უნდა იყოს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 2004 წლის 8 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე _ Ilascu, Lesco, Ivantoc and Petrov-Popa v. Moldova and the Russian Federation [GC], # 48787/99.³³ აღნიშნულ საქმეში განმცხადებლები დააპატიმრეს და სასჯელი დაადეს დნესტრისპირეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მართლმსაჯულების ორგანოებმა. აღნიშნულ საქმესთან მიმართებით ევროპის სასამართლოს დიდ პალატას, მას შემდეგ, რაც ძალადაკარგულად გამოაცხადა მოლდოვის მთავრობის მიერ დნესტრისპირეთთან მიმართებაში კონვენციის რატიფიცირებისას დადებული *teritoriuli daTqma*, უნდა ემსჯელა, თუ ვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა და ვის იურისდიქციაში შედიოდა განმცხადებლის მიერ წარდგენილი პრეტენზიები კონვენციის სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით _ თვით მოლდოვას მთავრობას, რომლის იურისდიქციაშიც *de jure* შედიოდა აღნიშნული ტერიტორია და რომელიც ვერ ახორციელებდა ეფექტიან კონტროლს აღნიშნულ ტერიტორიაზე, თუ რუსეთის ფედერაციას, რომელსაც ამ ტერიტორიაზე განთავსებული ჰყავს საჯარისო ფორმირებები და სხვადასხვა სახის სამხედრო და ფინანსურ დახმარებას უწევს თვითაღიარებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკას. სტრასბურგის სასამართლომ კონვენციით გარანტირებულ უფლებათა და თავისუფლებათა დამრღვევად ცნო ორივე მოპასუხე სახელმწიფო. სასამართლომ მოლდოვის სახელმწიფოს მიერ კონვენციის დარღვევა დაადგინა ამ უკანასკნელის მიერ პოზიტიურ ვალდებულებათა არაჯეროვნად შესრულების გამო, რაც გამოიხატა დნესტრისპირეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში

³² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი თბ., 2004, 55

³³ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ 2004 წლის 8 ივლისს გამოტანილი გადაწყვეტილება საქმეზე _ Ilascu, Lesco, Ivantoc and Petrov-Popa v. Moldova and the Russian Federation [GC], # 48787/99.

დაპატიმრებული და მსჯავრდებული პირების გათავისუფლებისათვის საკმარისი ღონისძიებებისა და ცდის განუხორციელებლობით.

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების პასუხისმგებლობას, იგი წარმოიშვა იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაციის საჯარო ფორმირებები განთავსებული იყვნენ დნესტრისპირეთის რესპუბლიკაში, ისინი ახორციელებდნენ ეფექტიან კონტროლს, მათი ხელშეწყობით მოხდა განმცხადებელთა დაპატიმრება და თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელისუფლებისათვის გადაცემა. ამასთანავე, რუსეთის ფედერაცია მნიშვნელოვან სამხედრო და ფინანსურ დახმარებას უწევდა დნესტრისპირეთის რესპუბლიკას მოლდოვასთან მიმართებით დამოუკიდებლობის მოპოვებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

აღნიშნულ განაცხადთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სახელმწიფოსათვის, რადგან საქართველოს მთავრობაც დგას სტრასბურგის სასამართლოში ათასობით ანალოგიური, პოტენციური განაცხადის შეტანის საფრთხის წინაშე სამაჩაბლოსა თუ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული მოქმედებების გამო. სახელმწიფო არ არის პასუხისმგებელი იმ ტერიტორიაზე ჩადენილ დანაშაულებებზე, რომელიც მის იურისდიქციაში არ შედის. თუმცა, იმ შემთხვევაში, როცა საქმე ეხება ექსტრადიციას, დეპორტაციას ან გაძევებას და არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ გადაცემული პირი დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, შეიძლება წარმოიშვას გადამცემი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.³⁴

³⁴ Chahal v. the United Kingdom, 23 EHRR 413; Soering v. the United Kingdom 9 EHRR 297 ECHR; Cruz-Varas v. Sweden.

3.2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის მნიშვნელობა

ევროპის საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის მე-16 დამატებითმა ოქმმა ერთგვარი სიახლე შემოიტანა სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაში³⁵. აღნიშნული ოქმის თანახმად, მაღალი ხელშემკვრელი მხარეების უმაღლეს იურისდიქციებს (საქართველოს შემთხვევაში უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები), სათანადო საფუძვლების არსებობისას, შეუძლიათ, საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით, მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებით.³⁶ საკონსულტაციო დასკვნას გასცემს დიდი პალატა. განხილ-ვაში მონაწილეობს მაღალი ხელშემკვრელი მხარის წარმომადგენელი მოსამართლე *ex officio წესით*.

მე-16 ოქმი კრძალავს კონვენციის 57-ე მუხლით გათვალისწინებულ ყოველგვარ დათქმას. განსხვავებით სხვა ოქმებისაგან, იგი არ იქნება სავალდებულო კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის და გამოყენებული იქნება მხოლოდ ხელმოწერი სახელმწიფოების მიმართ. ოქმი ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც ევროსაბჭოს წევრი 10 სახელმწიფო მოახდენს მის რატიფიკაციას.

ოქმის პრეამბულის მიხედვით, აღნიშნული სიახლის მიზანია სტრასბურგის სასამართლოსა და ეროვნულ იურისდიქციებს შორის ურთიერთქმედების გაღრმავება და სუბსიდიურობის პრინციპის გამყარება. ამასთანავე, ცხადია, თუ ეროვნული იურისდიქციები სტრასბურგის სასამართლოს დასკვნებს გაითვალისწინებენ და საკითხს კონვენციის შესაბამისად გადაწყვეტენ, ნაკლები სარჩელი შევა სტრასბურგის სასამართლოში, რაც სარგებელს მოუტანს როგორც მხარეებს, ასევე ხელს შეუწყობს სასამართლოს განტვირთვას.

როგორც ვიცით, სტრასბურგის სასამართლო არ არის ეროვნული სასამართლო ხელისუფლების ზემდგომი ინსტანცია. ამ ორგანოს არ შეუძლია შეცვალოს ეროვნული ნორმატიული ან ინდივიდუალ ური აქტი³⁷. თავისი სუბსიდიური ხასიათიდან გამომდინარე,

³⁵ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმი, საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 4 მარტს მოახდინა აღნიშნული ოქმის რატიფიკაცია

³⁶ Protocole n°16 à la Convention de sauvegarde des Droits de l'homme et des Liberté fondamentales. Strasbourg, 2.X.2013. Art. 1.

³⁷ საქმეში სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ სასამართლო უთითებს, რომ იგი ვერ გასცემს ბრძანებას, რომლის შესრულებაც სავალდებულო გახდება ეროვნულ დონეზე. განმცხადებელი მოითხოვდა, დარჩენილი ვადა მოეხადა ნიდერლანდების ციხეში. ნიდერლანდების მხარე არ იყო ამის წინააღმდეგი. სტრასბურგის სასამართლომ განმარტა, რომ, კონვენციის თანახმად, მას არა აქვს უფლებამოსილება, გასცეს ამგვარი ბრძანება. AFFAIRE SELMOUNI c. FRANCE. (Requête n° 25803/94) 28 juillet 1999.

იგი განიხილავს უფლებათა დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს, რომელთა მოგვარებაც ვერ მოხერხდა ეროვნულ დონეზე და შეუძლია, დააფიქსიროს მხოლოდ კონვენციის კონკრეტული მუხლის დარღვევა. გადაწყვეტილება საქმეზე „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ, სადაც სასამართლომ გამოსცა შედეგობრივი განკარგულება მომჩივანის დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ³⁸. „კონვენცია ეს არის სუბსიდიური სისტემა, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტიანად და საიმედოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც გასაჩივრებული დარღვევები ეროვნულ სასამართლოშივე შეიძლება შემოწმდეს.“³⁹

შეიძლება ითქვას, რომ 2013 წლის 2 ოქტომბრის მე-16 ოქმი გარკვეულწილად წარმოადგენს აღნიშნული სუბსიდიურობის პრინციპიდან ერთგვარ გადახვევას. მსგავს შემთხვევაში სტრასბურგის სასამართლო გვევლინება როგორც ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მთავარი მამოძრავებელი ძალა, მაშინ როდესაც იგი მეორადი, ანუ სუბსიდიური ხასიათის შეიძლება იყოს და იმსჯელოს მხოლოდ ეროვნული უმაღლესი იურისდიქციების მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონვენციასთან შესაბამისობაზე.

3.3. ევროპული კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმის სამართლებრივი უსწორობანი

მაშასადამე, მე-16 ოქმი ზღუდავს სწორედ იმ პრინციპს, რომლის გამყარებასაც პრეამბულაში თავად უსვამს ხაზს და რასაც ოქმის მთავარ მიზნად და შინაარსად მიიჩნევს.

ამასთანავე, იზღუდება ეროვნული იურისდიქციების დამოუკიდებლობის ხარისხი, ვინაიდან სტრასბურგის სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა ეროვნული სასამართლოების მიერ შესაძლებელია აღქმული იქნეს როგორც მითითება, თუ როგორი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ კონკრეტულ საქმეზე. მართალია, ოქმის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას არა აქვს სავალდებულო ხასიათი, მაგრამ ეროვნული სასამართლოსათვის საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას უდაოდ დიდი გავლენა შეიძლება ჰქონდეს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. შესაბამისად, ირღვევა სასამართლოს დამოუკიდებლობის საერთაშორისოდ აღიარებული ფუნდამენტური პრინციპი.

³⁸ ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ. (საჩივარი ნო. 71503/01) 2004 წლის 8 აპრილი. §202,203.

³⁹ ვილდჰაბერი ლ., „ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები“, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1, 2002 წელი, გვ. 60.

მე-16 ოქმში სრული ბუნდოვანებაა, როგორ გადაწყდება საკითხი, თუ საკონსულტაციო დასკვნა მიუთითებს კონსტიტუციის კონვენციასთან შეუსაბამობას. რას უნდა დაეყრდნოს სასამართლო ასეთ შემთხვევაში - ეროვნულ კონსტიტუციას თუ კონვენციას?

საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს საერთაშორისო სამართლის პრიმატს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საერთაშორისო ნორმა არ ეწინააღმდეგება თავად კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ კანონს. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ სიტუაციაში ეროვნული სასამართლო იძულებული გახდება დაეყრდნოს კონსტიტუციას და დაარღვიოს კონვენცია.

მე-16 ოქმი ეწინააღმდეგება ასევე თავად კონვენციის 47-ე მუხლით გაცხადებულ საკონსულტაციო დასკვნის პრინციპს. აღნიშნული მუხლის მიხედვით საკონსულტაციო დასკვნა არ უნდა ეხებოდეს კონვენციითა და მისი ოქმებით დაცული უფლებებების განმარტებას. მან არ უნდა გასცეს საკონსულტაციო დასკვნა ისეთ საქმეზე, რომელიც მომავალში შეიძლება გახდეს სამართალწარმოების საგანი და სასამართლოს დავის რეჟიმში მოუწიოს ამ საქმის განხილვა. 47-ე მუხლის აკრძალვა გამომდინარეობს მყარი ლოგიკიდან, რომ საქმის განხილვის პროცესში სასამართლო არ მოექცეს თავის მიერ გაცემული საკონსულტაციო დასკვნის გავლენის ქვეშ.

ეროვნულ სასამართლოებში საკონსულტაციო დასკვნის გაცემა კონვენციის აღნიშნული მუხლის უხეშ დარღვევად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან მხარეებს არ ეკრძალებათ საკონსულტაციო დასკვნის მიღების შემდეგ საქმე გაასაჩივრონ სტრასბურგის სასამართლოში. მსგავსი აკრძალვა არც შეიძლება დაუწესდეთ მხარეებს, რადგან შეიზღუდება კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური განაცხადის პირობები, რომლის თანახმადაც ნებისმიერ ფიზიკურ პირს უფლება აქვს მიმართოს ევროპის სასამართლოს.

ამგვარად, იგივე საკითხი, რომელზეც უკვე სტრასბურგის სასამართლოს გაცემული აქვს საკონსულტაციო დასკვნა ეროვნულ დონეზე, შეიძლება გახდეს შემდგომში მისი განხილვის საგანი. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო აღმოჩნდება მის მიერ გაცემული საკონსულტაციო დასკვნის მძევალი და უგულველყოფილი იქნება კონვენციის 47-ე მუხლის მოთხოვნები.

თუ ეროვნული სასამართლო შეძლებს საკონსულტაციო დასკვნის გავლენისაგან თავის დაღწევას, მაშინ ვაწყდებით არანაკლებ შეუსაბამობას - რატომ გააგზავნა ეროვნულმა სასამართლომ საქმე საერთაშორისო სასამართლოში, როდესაც მის აზრს არ ითვალისწინებს? ასეთ შემთხვევაში ძნელი გახდება მხარეებისათვის დამაჯერებელი პოზიციის დასაბუთება და შეირყევა ეროვნული იურისდიქციის ნდობის საკითხი.

გარდა ამისა, ეროვნული უმაღლესი იურისდიქცია იდეაში წარმოადგენს ყველაზე მაღალი იურიდიული კომპეტენციის მქონე ორგანოს ქვეყანაში. მის მიერ საკონსულტაციო დასკვნის მის-აღებად სხვა, თუნდაც საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვა, აკნინებს ამ ორგანოს და მას სამართლებრივი საკითხებისადმი ნაკლებად განსწავლულად წარმოაჩენს.

ევროსაბჭოს სხვა სტრუქტურული ერთეულისათვის სამართლებრივ საკითხებზე განმარტების მიცემა ხშირ შემთხვევაში შეიძლება აუცილებელიც კი გახდეს, ვინაიდან პოლიტიკურმა ორგანომ ვერ გაართვას თავი სამართლებრივი საკითხების სწორად გადაწყვეტას, მაგრამ იურიდიული ორგანოსათვის სამართ-ლებრივი საკითხების განმარტების თხოვნა, გარკვეულ უხერხულობას წარმოქმნის ეროვნული უმაღლესი სასამართლოებისათვის მათი კომპეტენციის შეფასებიდან გამომდინარე. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ეროვნულ უმაღლეს იურისდიქციას არა აქვს გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ამჟამად, ევროსაბჭოს 47 წევრი ქვეყნიდან თექვსმეტ სახელმწიფოს აქვს ხელი მოწერილი ოქმზე, მათგან რატიფიკაცია მოახდინეს სან მარინოსა და სლოვენის რესპუბლიკებმა. საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 4 მარტს მოახდინა აღნიშნული ოქმის რატიფიკაცია.⁴⁰

⁴⁰ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-16 დამატებითი ოქმი, საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 4 მარტს მოახდინა აღნიშნული ოქმის რატიფიკაცია.

თავი IV. კვლევის შედეგები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 1-ლი მუხლი მოითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა „უზრუნველყონ“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები. ამ დებულების ფორმულირების საფუძველზე სტრასბურგის ორგანოებმა 1-ლი მუხლი განმარტეს ნორმად, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს როგორც ნეგატიურ, ისე პოზიტიურ ვალდებულებას. სხვა სიტყვებით, სახელმწიფოებმა ზოგიერთ შემთხვევაში არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავონ უკანონო ჩარევისაგან დაცული უფლებების განხორციელებაში (ნეგატიური ვალდებულება), არამედ ასევე უნდა უზრუნველყონ, რომ კონვენციის გარანტიები დაცული იყოს მესამე მხარეების მიერაც კი (პოზიტიური ვალდებულება). დიდი ხანია, დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ, მართალია, კონვენციის მრავალი დებულების ძირითადი მიზანია პირთა დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ უფლებების განხორციელებაში უკანონო ჩარევისაგან, ამასთან ერთად შეიძლება არსებობდეს პოზიტიური ვალდებულება, რომელიც აუცილებელია შესაბამისი უფლებების ეფექტიანი პატივისცემისათვის.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი ვალდებულებები წარმოიშობა მე-2,32 მე-3,33 მე-8,34 და მე-1135 მუხლების მიმართ. პოზიტიური ვალდებულება ასევე შეიძლება წარმოიშვას სხვა მუხლებთან დაკავშირებით.

პოზიტიური ვალდებულების კონცეფციის საფუძველზე შეიძლება იმის მტკიცება, რომ ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფომ არა მხოლოდ უნდა შეიკავოს თავი კონვენციით განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებაში უკანონო ჩარევისაგან, არამედ ასევე უნდა გაითვალისწინოს ის სამართლებრივი სანქციები, რომლებიც დაეკისრება პირებს, თუ მათ დაარღვიეს კონვენციაში ჩამოყალიბებული სხვა პირების უფლებები და თავისუფლებები. საქართველოს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის ანალიზმა ცხადყო, რომ ისინი ითვალისწინებენ აკრძალვებს (სანქციებს) იმ იურიდიული და ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არღვევენ კონვენციით განმტკიცებულ გარანტიებს. აკრძალვები (სანქციები), რომლებიც გამოიყენება პირების მიმართ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევისათვის,

დეტალურად განიხილება კონვენციაში განმტკიცებული კონკრეტული უფლებების ანალიზისას.

საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 1999 წელს გახდა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი. იგი უნდა გამოიყენონ სახელმწიფო ორგანოებმა, სასამართლოების ჩათვლით. ფიზიკური და იურიდიული პირები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით.

სახელმწიფო ორგანოების, განსაკუთრებით სასამართლოების, პრაქტიკა ევროპული კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით ამჟამად ვითარდება. საქართველოს სასამართლოებმა მრავალ საქმეში გამოიყენეს ევროპული კონვენცია. რადიკალური განსხვავებაა ეროვნული სასამართლოების მიერ ევროპული კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებით 1999/2000 და 2001/2002 წლებს შორის. საქართველოს უზენაესი და თბილისის საოლქო სასამართლოები განსაკუთრებით აქტიურია ამ თვალსაზრისით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განიხილა რამდენიმე საქმე, რომლებშიც მან გამოიყენა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტები, ევროპული კონვენციის ჩათვლით. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებას, ეროვნული სასამართლოების უმრავლესობა, როგორც ჩანს, თავს იკავებს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისაგან. როგორც ჩანს, საქართველოს მოსამართლეთა უმრავლესობას არასწორად ესმის ის როლი, რომელიც უნდა შეასრულოს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა. მათი აზრით, ვინაიდან საქართველო არის არა საერთო სამართლის, არამედ კონტინენტური სამართლის ქვეყანა, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი არ არის ეროვნული სამართლის წყარო და, შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენონ ის.

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეს არის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლის არასწორი გაგება ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში.

საქართველოს სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ ევროპული კონვენციის ტექსტი, არამედ ასევე კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების საფუძველზე ჩამოყალიბებული ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს კონკრეტულ საქმეებზე, ასეთი გადაწყვეტილებები განმარტავს კონვენციის დებულებებს. რთულია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებათა შინაარსის დადგენა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის გარეშე, რაც აისახება მის პრეცედენტულ სამართალში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ კონვენცია არის „ცოცხალი“ დოკუმენტი.

დასკვნა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეს არის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლის არასწორი გაგება ეროვნული სასამართლოების პრაქტიკაში.

საქართველოს სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ არა მხოლოდ ევროპული კონვენციის ტექსტი, არამედ ასევე კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების საფუძველზე ჩამოყალიბებული ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს კონკრეტულ საქმეებზე, ასეთი გადაწყვეტილებები განმარტავს კონვენციის დებულებებს. რთულია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებათა შინაარსის დადგენა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის გარეშე, რაც აისახება მის პრეცედენტულ სამართალში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ კონვენცია არის „ცოცხალი“ დოკუმენტი.

კონვენციის ადამიანის უფლებათა სტანდარტები გამოხატულია როგორც კონვენციის ტექსტში, ისე ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. ამიტომ საქართველოს სასამართლოებმა უნდა იხელმძღვანელონ არა მხოლოდ კონვენციაში ასახული ადამიანის უფლებათა სტანდარტებით, არამედ ასევე იმ სტანდარტებით, რომლებიც გამოხატულია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალით. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ეროვნულ სასამართლოებს კონვენციით განმტკიცებული უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვან განმარტებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სასამართლოების უმრავლესობა თავს იკავებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებისაგან, 1999 წლიდან, როდესაც საქართველომ მოახდინა ევროპული კონვენციის რატიფიცირება, სასამართლოთა პრაქტიკაში იკვეთება ტენდენცია, გამოიყენონ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული

სამართალი, რათა განმარტონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები.

თავის ერთ-ერთ საქმეში თბილისის საოლქო სასამართლომ, ევროპულ კონვენციასთან ერთად, მოიშველია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და აღნიშნა, რომ სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ავსებს და აზუსტებს ევროპული კონვენციით დადგენილი ნორმების შინაარსს.

სასამართლოს ამ განცხადებამ ნათელი მოჰფინა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების აუცილებლობას კონვენციის სტანდარტების განმარტებისათვის. მართალია, ამჟამად საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა, შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ დამატებითი ღონისძიებების გატარება, რომელთა მიზანი იქნება საქართველოს სასამართლოების მიერ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის (კონვენციის ტექსტთან ერთად) გამოყენების ხელშეწყობა, გააუმჯობესებს მდგომარეობას. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უმნიშვნელოვანესი როლი უნდა შეასრულოს ამ თვალსაზრისით.

ნათელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენება ეროვნულ დონეზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ იურიდიულ პროფესიათა წარმომადგენლების სწავლებაზე, რომლებსაც შეხება აქვთ სასამართლო პროცესთან. ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელობას ხაზი გაუსვა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა. კონვენციის ტექსტის ხელმისაწვდომობასთან ერთად, მან ყურადღება გაამახვილა იმ გადაწყვეტილებათა დროულად და ფართოდ გავრცელების უზრუნველყოფაზე, რომლებიც განავითარებენ შესაბამის პრეცედენტულ სამართალს. ხაზი გაესვა იმას, რომ ეს პრეცედენტული სამართალი უნდა გამოქვეყნდეს სრულად ან, მინიმუმ, რეზიუმეს თუ ამონარიდის სახით სახელმწიფო ენაზე (ენებზე), განსაკუთრებით, ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოებში, კომპეტენტური სამინისტროების საინფორმაციო ბიულეტენებში, იურიდიულ ჟურნალებსა და საინფორმაციო საშუალებებში, რომლებითაც სარგებლობს იურიდიული საზოგადოება. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია მოიხსენიებს სხვადასხვა ღონისძიებას, რომლებიც უნდა გატარდეს სახელმწიფოს მიერ, რათა ხელი შეეწყოს ინფორმაციის გავრცელებას ევროპული კონვენციის შესახებ. ისინი მოიცავენ სახელმწიფო ენაზე (ენებზე) სახელმძღვანელოებისა და სხვა პუბლიკაციების რეგულარულ გამოცემას, რაც ხელს შეუწყობს კონვენციის სისტემისა და სასამართლოს ძირითადი პრეცედენტების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, შესაბამისი პრეცედენტების ასლებით

სასამართლო ხელისუფლების უზრუნველყოფას, ისევე როგორც იმის უზრუნველყოფას, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებში, როგორებიცაა: სასამართლოები, პოლიციის ორგანოები, ციხის ადმინისტრაცია ან სოციალური დაცვის ორგანოები, ასევე, სადაც აუცილებელია, არასახელმწიფო ორგანიზაციებში, როგორებიცაა: ადვოკატთა ასოციაციები, პროფესიული ასოციაციები, და სხვ., დროულად გავრცელდეს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც უშუალო კავშირშია მათ საქმიანობასთან, საჭიროების შემთხვევაში, განმარტებით ბარათთან ან ცირკულარულ წერილთან ერთად.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები და სახელმწიფოებრივი:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი თბილისი 2004
2. ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005
3. ვილდჰაბერი ლ., „ადამიანის უფლება: როგორ უნდა იცავდეს მას სტრასბურგისა და ეროვნული სასამართლოები“, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 1, 2002 წელი,
4. მირზიაშვილი მ., ჩხიკვაძე ი., გზამკვლევი: ევროკავშირი და საქართველო, Netherlands Institute for Multiparty Democracy (NIMD), თბ., 2014, 6.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლო ანალიტიკური განყოფილების კვლევა - “ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება და ეროვნული სასამართლოების როლი” თბ. 2019
6. კორკელია კ., სახელმწიფოებრივი „ევროპული სტანდარტების ინტეგრაცი-ისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება“ თბ. 2007
7. კორკელია კ., „როგორ უზრუნველყოთ საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვა ევროპული სტანდარტებით?“ თბ. 2010.
8. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ., 2004
9. ფიფია ს. სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: ოკუპირებული ტერიტორიების ადმინისტრირებისას ოკუპანტი ძალის უფლებამოსილების ფარგლები, თბ. 2016

10. K. Korkelia, New Challenges to the Regime of Reservations under the International Covenant on Civil and Political Rights, 13 European Journal of International Law 2, 2002, 442-444.

უცხოენოვანი ლიტერატურა

11. Study on the Compatibility of Georgian Law with the Requirements of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and its Protocols: Pilot Project, prepared by A.Kakhniashvili, A. Nalbandov, G. Tskrialashvili, HRCAD(2001)2, 2001, 65-66, 80-83, 129

12. A Study on the Compatibility of Georgian Law with the Requirements of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and its Protocols: Pilot Project, prepared by A. Kakhniashvili, A. Nalbandov, G.Tskrialashvili, HRCAD(2001)2, 2001, 128-129.

13. Study on the Compatibility of Georgian Law with the Requirements of the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms and its Protocols: Pilot Project, prepared by A. Kakhniashvili, A. Nalbandov, G. Tskrialashvili, HRCAD(2001)2, 2001, 80-83.

14. Robertson & J. Merrills, Human Rights in Europe: A Study of the European Convention on Human Rights, 1993, 27-28. 17

15. Dijk P. van, GJH. van Hoof, "Theory and Practice of the European Convention on Human Rights", Kluwer law International, 1997. 2 X v. Federal Republic of Germany, Yearbook VIII (1965), 158

სასამართლო პრაქტიკა და გადაწყვეტილებები:

16. ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ. (საჩივარი ნო. 71503/01) 2004 წლის 8 აპრილი. §202,203.

17. Vlastimir and Borka BANKOVIC, Zivana STOJANOVIC, Mirjana STOIMENOVSKI, Dragana JOKSIMOVIC and Dragan SUKOVIC v. Belgium, the Czech Republic, Denmark, France, Germany, Greece, Hungary, Iceland, Italy, Luxembourg, the Netherlands, Norway, Poland, Portugal, Spain, Turkey and the United Kingdom.

18. (Loizidou v. Turkey), 1995 wlis 23 marti, Series A no. 310, 62-e punqti. 15 2001 wlis 12 dekemberi, ECHR 2001-XII.

19. Bertrand Russell Peace Foundation Ltd v. the United Kingdom, კომისიის 1978 წლის 2 მაისის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებები და მოხსენებები (DR) 14, გვ. 117 და 124] კონვენციის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით.

20. Chahal v. the United Kingdom, 23 EHRR 413; Soering v. the United Kingdom 9 EHRR 297 ECHR; Cruz-Varas v. Sweden. Protocole n°16 à la Convention de sauvegarde des Droits de l'homme et des Liberté fondamentales. Strasbourg, 2.X.2013. Art. 1.

ინტერნეტ-რესურსები

21. ევროპის საბჭოს სახელმწიფოებო სამსახურის ინტერნეტ-გვერდი:

<http://conventions.coe.int>

22. 2001 წლის 4 ივლისი. 24 საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის განცხადება „ადამიანის უფლებათა დაცვა – ქართული სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტი“. ტექსტი ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ინტერნეტ-გვერდზე: [www.geopdo.org].